



65

საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტის

აქტი

№ 59/00

„9“ სექტემბერი 2010

ქ. თბილისი

“ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ”
სოციალური სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

გიორგი ალასანია

„9“ სექტემბერი 2010 წელი

გვ. N2

ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის აქტი
(31.05.06-01.01.10)

სსიპ „ი.ლომოურის მიწათმოქმედების ინსტიტუტი“

სარჩევი

საქმიანობის მოკლე მიმოხილვა	გვ. 3;
ძირითადი ტექსტი	გვ. 7;
1. ინსტიტუტის (საცდელი სადგურის) სამეცნიერო და სამეურნეო საქმიანობა	გვ. 7;
1.1. მარცვლოვანი კულტურები სამეცნიერო და სამეურნეო მიზნებისათვის: გვ. 8;	
1.1.1. სამეცნიერო საქმიანობა	გვ. 9;
1.1.2. სამეურნეო საქმიანობა	გვ. 12;
1.1.2.1. მოსავლიანობა	გვ. 12;
1.1.2.2. მარცვლოვანი კულტურების სარეალიზაციო ფასები	გვ. 20;
1.2. მევენახეობა	გვ. 23;
1.3. მეცხოველეობა	გვ. 24;
2. ინსტიტუტის მართვა	გვ. 28;
2.1. ორგანიზაცია და სტატუსი	გვ. 28;
2.2. სახელმწიფო ქონების განკარგვა	გვ. 30;
2.2.1. სახელმწიფო ქონებით სარგებლობის სამართლებრივი საფუძველი;	
2.2.2. მატერიალური ფასეულობების ჩამოწერა	გვ. 32;
2.2.3. მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაცია	გვ. 32;
2.3. ფინანსური ანგარიშგება და ბუღალტრული აღრიცხვა	გვ. 33;
2.3.1. ბიუჯეტთან ანგარიშსწორება	გვ. 33;
2.3.2. დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები	გვ. 35;
2.3.3. ბუღალტრული აღრიცხვა	გვ. 36;
2.4. სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობა კანონმდებლობასთან	გვ. 37;
2.5. წინა პერიოდის შემოწმების შედეგად გამოვლენილ დარღვევა-ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად გაწეული საქმიანობა	გვ. 37;
3. დასკვნა	გვ. 38;
4. რეკომენდაცია	გვ. 41;
5. აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი და აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები	

შესავალი

აუდიტის საფუძველი: საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2010 წლის 9 მარტის N24/43, 1 აპრილის N44/43, N46/42 და 22 აპრილის N47/43 ბრძანებები.

აუდიტის ობიექტი: სსიპ „ი.ლომოურის მიწათმოქმედების ინსტიტუტი“, იურიდიული მისამართი: მცხეთა, სოფელი წეროვანი. ტელ/106505; ფაქსი 265256.

აუდიტის ჯგუფი: უფროსი აუდიტორები ზურაბ შაყულაშვილი (ჯგუფის ხელმძღვანელი), ბადრი გრძელიძე, მთავარი აუდიტორები ტრისტან ბენაშვილი, გიორგი მელანაშვილი, აუდიტორები ბიძინა პაპავაძე და ირაკლი დალაქიშვილი.

აუდიტის ვადა: 09/03/2010 – 07/05/2010 (დაწყება-დასრულება).

შემოკლებანი:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო - განათლების სამინისტრო;
საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო - ეკონომიკური განვითარების სამინისტრო;

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სსიპ;

საჯარო სამართლის იურიდიული პირი „ი.ლომოურის მიწათმოქმედების ინსტიტუტი“ - ინსტიტუტი;

საცდელი სადგური - სადგური.

საქმიანობის მოკლე მიმოხილვა

ინსტიტუტი, როგორც საჯარო სამართლის იურიდიულ პირი, დაფუძნდა „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ საქართველოს კანონის¹ და საქართველოს მთავრობის 2006 წლის 16 მარტის N58 დადგენილების² საფუძველზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 31 მაისის N555 ბრძანებით დამტკიცდა მისი დროებითი წესდება, ხოლო 2007 წლის 2 აგვისტოს N576 ბრძანებით - ამჟამად მოქმედი წესდება.

ინსტიტუტის საქმიანობა მოიცავს სამეცნიერო-კვლევით, საკონსულტაციო და საექსპერტო სამუშაოებს, ქვეყნის სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესის ხელშეწყობას, სამეცნიერო პერსონალის მობილურობის წახალისებას, საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის განვითარებას, ახალი სამეცნიერო პერსონალის მომზადებასა და გადამზადებაში მონაწილეობის მიღებას. ინსტიტუტი უფლებამოსილია, კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული დამხმარე ეკონომიკური საქმიანობა.

¹ „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2005 წლის 23 დეკემბრის N2469 კანონის მე-10¹ მუხლის პირველი პუნქტი, მე-2 მუხლის პირველი პუნქტი
² „სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნების შესახებ“.

ინსტიტუტის ძირითად სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს საცდელი სადგური, რომელსაც წარმოადგენს კახეთის, გარდაბნის, სართიჭალის, წყალტუბოს, აჯამეთის, გორის, სენაკისა და ახალქალაქის სადგურები. ინსტიტუტში არსებული სამეცნიერო საბჭო ხელმძღვანელობს სამეცნიერო საქმიანობას, ხოლო საორგანიზაციო-ადმინისტრაციულ საქმიანობას წარმართავს დირექტორი.

ინსტიტუტი საქმიანობის განსახორციელებლად ფლობს უძრავ და მოძრავ ქონებას. უძრავი ქონების სახით მის მფლობელობაშია მიწის შემდეგი ფართობები:

დასახელება	ს.უ.ლ. ჰექტარი	მ.შ.სახნავი, მრავალწ. ნარგავები	სხვა ³	ს.უ.ლ. ჰექტარი	მ.შ.სახნავი, მრავალწ. ნარგავები	სხვა	ს.უ.ლ. ჰექტარი	მ.შ.სახნავი, მრავალწ. ნარგავები	სხვა	ს.უ.ლ. ჰექტარი	მ.შ.სახნავი, მრავალწ. ნარგავები	სხვა
	2006	2006	2006	2007	2007	2007	2008	2008	2008	2009	2009	2009
ინსტიტუტი	169	119.5	49.5	169	98.5	70.5	169	102.5	66.5	34 ⁴	7.1	26.9
კახეთი	2908	2215	693 ⁵	2908	2215	693	2908	2215	693	2908 ⁶	2215	693
გარდაბანი	355	230.7	124.3	355	240	115	355	246.1	108.9	355 ⁷	191.1	163.9
სართიჭალა	220.1	182.5	37.6	220.1	189.8	30.3	220.1	189.8	30.3	220.1	189.83	30.27
წყალტუბო	49	23	26	49	6.2	42.8	49	3	46	49	2	47
აჯამეთი	60	45	15	60	14.8	45.2	60	15	45	60	14	46
გორი	74.43	52.63	21.8	74.43	39.23	35.2	74.43	25.03	49.4	3.23 ⁸	-	3.23
სენაკი	104.7	27.8	76.9	104.7	20.2	84.5	104.7	25	79.7	104.7	1.75	102.95
ახალქალაქი	32	27	5	32	27	5	32	27	5	- ⁹	-	-
ს.უ.ლ.	3972.23	2923.13	1049.1	3972.23	2850.73	1121.5	3972.23	2848.43	1123.8	3734	2620.78	1113.3

მიწის ფართობის გარდა, 2010 წლის 1 იანვრისათვის ინსტიტუტის სარგებლობაში იყო 1790,3 ათასი ლარის სხვა ძირითადი აქტივები (შენობა-ნაგებობები, მანქანა-დანადგარები და სხვ.), მათ შორის, უშუალოდ ინსტიტუტზე ირიცხებოდა 1175,0 ათასი ლარის (65,6%), ხოლო 8 საცდელ სადგურზე 615,3 ათასი ლარის (34,4%) ძირითადი აქტივები.

წლების მიხედვით ინსტიტუტის ერთობლივი შემოსავლები და ხარჯები საბალანსო მონაცემებით:

³ წლების მიხედვით, ფართობების ცვლილების დინამიკის მიზეზები იხ. მე-19 გვერდზე;

⁴ 135 ჰა მიწის ფართობი გადაეცა რუსეთის აგრესიის შედეგად კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილებს (საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წერილი N15/2218/9-8. 30.09.2008);

⁵ აღნიშნულ ფართობში შედის 659 ჰა საძოვარი;

⁶ საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 22 დეკემბრის N925 განკარგულებით 1459 ჰა მიწის ფართობი პრივატიზებულია პირდაპირი მიყიდვის ფორმით, შესაბამისად, წლის ბოლოს სადგური ფლობდა 1449 ჰა ფართობს;

⁷ პრივატიზებულია შპს „მარნეული აგროს“ მიერ (საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ბრძანება N1-1/38. 18.01.2010. საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა 18.01.2010)

⁸ საქართველოს მთავრობის 03.03.09 წ. N173 განკარგულების საფუძველზე მიწის ფართობი გადაეცა რუსეთის აგრესიის შედეგად კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილებს;

⁹ საქართველოს პრეზიდენტის 30.03.09 წ. N235 განკარგულებით მიწის ფართობი პრივატიზებულია პირდაპირი მიყიდვის ფორმით შპს „სათესლე და სარგავი მასალების წარმოების სამეცნიერო საწარმო ცენტრ „აგრო ქართუზე“.

დასახელება	2006					
	შემოსავალი			ხარჯი		
	ბიუჯეტი	საკუთარი	სულ	ბიუჯეტი	საკუთარი	სულ
ინსტიტუტი	148.8	156.9	305.7	138.8	145	283.8
კახეთი	10.4	1,119.30	1,129.70	10.4	597.4	607.8
გარდაბანი	5.7	87.4	93.1	5.7	85	90.7
სართიჭალა	5.7	97.6	103.3	5.7	91.8	97.5
წყალტუბო	4.6	4.3	8.9	4.6	5.8	10.4
აჯამეთი	8.9	10.6	19.5	8.9	25	33.9
გორი	8.5	23.8	32.3	8.5	40.7	49.2
სენაკი	5.6	5.5	11.1	5.6	5.4	11
ახალქალაქი	-	15.6	15.6	-	18.7	18.7
სულ	198.2	1,521.0	1,719.20	188.2	1,014.80	1,203.0

2007					
შემოსავალი			ხარჯი		
ბიუჯეტი	საკუთარი	სულ	ბიუჯეტი	საკუთარი	სულ
160.5	96.6	257.1	160.5	70	230.5
11.2	1,070.30	1,081.50	11.2	526.9	538.1
6.2	91.5	97.7	6.2	90.2	96.4
6.2	189.9	196.1	6.2	164.5	170.7
5.3	1.2	6.5	5.3	0.9	6.2
9.6	0.7	10.3	9.6	2.2	11.8
7.5	26.9	34.4	7.5	33.7	41.2
6.1	4.9	11	6.1	4.9	11
2.1	4	6.1	2.1	2.4	4.5
214.7	1,486.0	1,700.70	214.7	895.7	1,110.40

(ათას ლარებში)

დასახელება	2008					
	შემოსავალი			ხარჯი		
	ბიუჯეტი	საკუთარი	სულ	ბიუჯეტი	საკუთარი	სულ
ინსტიტუტი	193.40	82.50	275.90	193.40	72.20	265.60
კახეთი	13.10	871.70	884.80	13.10	470.70	483.80
გარდაბანი	7.30	119.30	126.60	7.30	104.90	112.20
სართიჭალა	9.00	132.10	141.10	9.00	100.70	109.70
წყალტუბო	6.00	1.70	7.70	6.00	0.80	6.80
აჯამეთი	11.10	1.90	13.00	11.10	2.80	13.90
გორი	7.90	16.80	24.70	7.90	30.30	38.20
სენაკი	7.00	6.10	13.10	7.00	6.50	13.50
ახალქალაქი	3.20	16.50	19.70	3.20	13.70	16.90
სულ	258.00	1,248.60	1,506.60	258.00	802.60	1,060.60

2009					
შემოსავალი			ხარჯი		
ბიუჯეტი	საკუთარი	სულ	ბიუჯეტი	საკუთარი	სულ
185.80	92.20	278.00	185.80	99.60	285.40
14.90	642.80	657.70	14.90	566.00	580.90
8.10	78.90	87.00	8.10	100.60	108.70
11.50	115.00	126.50	11.50	145.00	156.50
6.70	0.80	7.50	6.70	0.80	7.50
12.10	1.70	13.80	12.10	1.70	13.80
8.10	-	8.10	8.10	-	8.10
7.80	7.10	14.90	7.80	8.90	16.70
3.00	-	3.00	3.00	-	3.00
258.00	938.50	1,196.50	258.00	922.60	1,180.60

ინსტიტუტის მიერ მიღებული საბიუჯეტო თანხებისა და საკუთარი შემოსავლების თანაფარდობა:
(ათას ლარებში)

წელი	სახელმწიფო ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავალი	სხვაობა (+ -)	%
2006	198.2	1521.0	-1322.8	87
2007	214.7	1486.0	-1271.3	85.5
2008	258	1248.6	-990.6	79.3
2009	258	938.5	-680.5	72.5
სულ	928.9	5194.1	-4265.2	82

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების ხარჯთაღრიცხვა:

ხარჯების ჩამონათვალი	საკასო ხარჯი				ფაქტობრივი ხარჯი			
	2006	2007	2008	2009	2006	2007	2008	2009
შრომის ანაზღაურება	122.8	160.3	229.8	258	122.8	160.3	229.8	258
დამქირავებლიდან ანარიცხები	24.6	32.1	0	0	24.6	32.1	0	0
მივლინება	1.2	0.3	0	0	1.2	0.3	0	0
ოფისის ხარჯები	9.2	0.5	2.3	0	9.2	0.5	2.3	0
კომუნალური	7.4	6.9	6.6	0	7.4	6.9	8.5	0
ტრანსპორტის ხარჯები	11.2	12	11.9	0	11.2	12	11.9	0
სასუქები და შხამ-ქიმიკატები	10	1.6	7.4	0	-	7.1	7.4	0
სხვა ხარჯები	11.8	1	0	0	11.8	1	0	0
სულ ასიგნებანი	198.2	214.7	258	258 ¹⁰	188.2	220.2	259.9	258

ინსტიტუტსა და საცდელ სადგურებში დასაქმებულთა რიცხოვნობა და შრომის ანაზღაურება, როგორც საბიუჯეტო, ასევე საკუთარი შემოსავლებიდან (ათას ლარებში):

2006				2007				2008				2009			
საბიუჯეტო		საკუთარი		საბიუჯეტო		საკუთარი		საბიუჯეტო		საკუთარი		საბიუჯეტო		საკუთარი	
თანა	რაოდენობა	თანა	რაოდენობა	თანა	რაოდენობა	თანა	რაოდენობა	თანა	რაოდენობა	თანა	რაოდენობა	თანა	რაოდენობა	თანა	რაოდენობა
122.8	82	258	150	160.3	81.5	321	149.5	229.8	87	599.3	151.4	258	85.5	472.7	131

წარმოდგენილი ინფორმაციიდან ჩანს, რომ ინსტიტუტის აქტივების ძირითად ნაწილს მიწის ფართობის სახით ფლობს ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეული, კახეთის საცდელი სადგური, საშუალოდ 74,3%. ინსტიტუტის მიერ 2006–2009 წლებში მობილიზებული საბიუჯეტო და საკუთარი შემოსავლებიდან, სულ 6123,0 ათასი ლარი, 61,3% კახეთის საცდელ სადგურზე მოდის. ინსტიტუტის მიერ გაწეული ხარჯების საერთო ჯამში (4554,6 ათასი ლარი) კახეთის საცდელი სადგურის პროცენტული წილი 48,5 შეადგენს (2210,6 ათასი ლარი). სხვა სტრუქტურული ერთეულებისაგან განსხვავებით, კახეთის საცდელი სადგური დამატებით ეწევა წესდებით გაუთვალისწინებელ სამეურნეო საქმიანობას მევენახეობისა და მეცხოველეობის სახით.

ამდენად, კახეთის საცდელი სადგურის ფუნქციონირება არსებით გავლენას ახდენს ინსტიტუტის საქმიანობის შედეგებზე. აქედან გამომდინარე, აუდიტის ჯგუფმა, სხვა მნიშვნელოვან თემებთან ერთად, ინსტიტუტის შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ ინფორმაციის განზოგადების მიზნით შეისწავლა და გაანალიზა აღნიშნული საცდელი სადგურის საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია მის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული მიწის ფართობის გამოყენებასა და შემოსავლების მიღებასთან.

¹⁰ 2009 წელს ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება მთლიანად გახარჯულია შრომის ანაზღაურებაზე, შესაბამისად, გაზრდილია სახელფასო განაკვეთი. რაც შეეხება სხვა ხარჯების დაფინანსებას, იგი განხორციელდა საკუთარი შემოსავლებიდან.

ძირითადი ტექსტი

1. ინსტიტუტის (საცდელი სადგურის) სამეცნიერო და სამეურნეო საქმიანობა

ინსტიტუტის წესდება ზოგადად განსაზღვრავს ინსტიტუტის საქმიანობის მიზნებსა და მიმართულებებს. არ არის დაკონკრეტებული მისი ძირითადი საქმიანობის სფერო და ამოცანები. საცდელი სადგურების ტიპური დებულების თანახმად, იგი:

ა. წარმართავს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას;

ბ. აწარმოებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების, მინდვრის, ბოსტნეულ-ბაღჩეულის, მარცვლეულის, პარკოსანი, საკვები ბალახების წარმოებაში დანერგილი და პერსპექტიული ჯიშების სუპერ ელიტური, ელიტური და რეპროდუქციული თესლების დამუშავებას, დასახელებული კულტურების აგროტექნიკურ ღონისძიებებს.

დებულება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისაგან ცალკე გამოყოფს სუპერ ელიტური, ელიტური და რეპროდუქციული თესლების დამუშავებას. ინსტიტუტს ამ მიმართულებით არ გააჩნია კონკრეტული გეგმები, ამოცანები და მისაღწევი მიზნები (პერსპექტიული გეგმები). არ არის განსაზღვრული, თუ რა მიზანს ემსახურება მითითებული თესლების დამუშავება და რა კავშირშია მეცნიერებასთან. ამგვარ პირობებში ინსტიტუტს აქვს საქმიანობის სფეროს ფართო ინტერპრეტაციის შესაძლებლობა, რაც ეწინააღმდეგება საჯარო სამართლის იურიდიული პირის სპეციალური უფლებაუნარიანობის, წესდების შინაარსისა და საქმიანობის სხვა მნიშვნელოვან პრინციპებს.

ინსტიტუტის საცდელი სადგურები ახორციელებენ შემდეგ საქმიანობას:

- ✓ მარცვლოვანი კულტურების თესვა;
- სამეცნიერო მიზნებისათვის:
 - ცდები;
 - პირველადი მეთესლეობა¹¹;
- სამეურნეო მიზნებისათვის, რომელიც მოიცავს პირველი, მეორე და მესამე რეპროდუქციის მარცვლეული მოსავლის მიღებას (ელიტის დათესვის შედეგად მიიღება პირველი რეპროდუქცია და ა.შ.);
- ✓ მევენახეობა (მხოლოდ კახეთის საცდელი სადგური);
- ✓ მეცხოველეობა (მხოლოდ კახეთის საცდელი სადგური).

ინსტიტუტის საქმიანობიდან გამომდინარე, მიწის ფართობები წლების მიხედვით დაყოფილი იყო სამეცნიერო და სამეურნეო ნაწილებად:


¹¹ სათესლე ჯიშების გამოყვანა და მათი მიყვანა სამეურნეო დანიშნულებით გამოსაყენებელ ეტაპამდე. ობიექტის განმარტებით, აღნიშნული საქმიანობა ემსახურება არსებული ჯიშების და ტექნოლოგიების შენარჩუნებას და შესაბამისად განეკუთვნება სამეცნიერო საქმიანობას.

დასახელება	სახნავი და მრავალწლიანი ნარგავები (ჰა)							
	2006		2007		2008		2009	
	სამეცნიერო	სამეურნეო	სამეცნიერო	სამეურნეო	სამეცნიერო	სამეურნეო	სამეცნიერო	სამეურნეო
ინსტიტუტი	115.5	4	98.5	-	102.5	-	7.1	-
კახეთი	829	1386	583	1632	614	1601	767	1448
გარდაბანი	198.9	31.8	205	35	219.6	26.5	170.6	20.5
სართიჭალა	130.8	51.7	148.8	41	145.8	44	141.83	48
წყალტუბო	23	-	6.2	-	3	-	2	-
აჯამეთი	45	-	14.8	-	15	-	14	-
გორი	28.4	24.23	23	16.23	8.8	16.23	-	-
სენაკი	27.8	-	20.2	-	25	-	1.75	-
ახალქალაქი	27	-	27	-	27	-	-	-
სულ	1425.4	1497.73	1126.5	1724.23	1160.7	1687.73	1104.28	1516.5

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, სამეცნიერო დანიშნულებით გამოიყენებოდა მიწის საერთო ფართობის დაახლოებით 31%.

აქტში წარმოდგენილია საქმიანობის თითოეული მიმართულების მიხედვით მიღებული შედეგები კახეთის საცდელი სადგურის მაგალითზე.

კახეთის სადგური შედგება მადაროს, შირაქის და ულიანოვკის ექსპერიმენტული ბაზებისაგან. აუდირებულ პერიოდში აღნიშნული სადგური ფაქტობრივად სარგებლობდა 2908 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობით, მათ შორის, სახნავი ფართობი შეადგენდა 2190 ჰა, საძოვარი - 659 ჰა, მრავალწლიანი ნარგავები (ვენახი) - 25 ჰა. მუდმივი გზებით, შენობა-ნაგებობებით და ქარსაფარი ზოლით დაკავებული იყო შესაბამისად 4 ჰა, 9 ჰა და 21 ჰა, ხოლო 1 ჰა იყო გამოუყენებელი.







1.1. მარცვლოვანი კულტურები სამეცნიერო და სამეურნეო მიზნებისათვის

კახეთის სადგურის სახნავ ფართობებზე, როგორც სამეცნიერო, ასევე სამეურნეო მიზნებისათვის, წლების მიხედვით ითესებოდა შემდეგი კულტურები:

წლები	სულ სახნავი ფართობი	ხორბალი	ქერი	შვრია	მზესუმზირა	სიმინდი	სუდანის ბალახი	იონჯა	შავი ანული	გამოყენებული ფართობი	სულ გამოყენებული
2006	2190	971.6	127	133	622	10	18	28	279	1.4	2,188.60
2007	2190	1040	123	127	546.2	60.54	6	28	242.4	17	2,173.00
2008	2190	1006	124	84	610.7	10	18	55	272	10.3	2,179.70
2009	2190	1006	111	104	614	5	18	55	277	0	2,190.00

სახნავი ფართობის პროცენტული განაწილება წლების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:



1.1.1. სამეცნიერო საქმიანობა

სადგურის მიერ წარმოდგენილი ცხრილის თანახმად, სამეცნიერო მიზნით (ცდები, პირველადი და ელიტური მეთესლეობა) წლებისა და მარცვლეული კულტურების მიხედვით, დაკავებული იყო შემდეგი მიწის ფართობები:

N	კულტურის დასახელება	2006 წელი (ჰა)	2007 წელი (ჰა)	2008 წელი (ჰა)	2009 წელი (ჰა)
1	ხორბალი	356.4	314.2	264.4	397.9
2	ქერი	71.8	14.7	68	81.8
3	მზესუმზირა	110.5	0	0	0
4	შავი ანეული ¹²	279	242.4	272	277
5	სხვადასხვა	11.3	11.7	9.6	10.3
	სულ დათესილი	829	583	614	767

სადგურის მიერ წარმოდგენილ ცნობაში სამეცნიერო საქმიანობიდან ცდების მიზნით გამოყენებულ სახნავ ფართობებად მითითებულია:

- 2006 წელში - 11.6 ჰა;
- 2007 წელში - 12.5 ჰა;
- 2008 წელში - 12.5 ჰა;
- 2009 წელში - 12.4 ჰა.

ობიექტის განმარტებით, ცდების გარდა, სამეცნიერო საქმიანობას განეკუთვნება პირველადი მეთესლეობა¹³, რომელიც მოიცავს სათესლე ჯიშების გამოყვანას და მათი სუპერ ელიტურ და ელიტურ კონდიციამდე მიყვანას შემდგომი რეალიზაციის მიზნით (ძირითადი მომხმარებლები არიან ფერმერები, რომელთაც სურთ თესლის ჩანაცვლება¹⁴).

აღსანიშნავია, რომ ელიტის დათესვის შემდეგ მიიღება პირველი რეპროდუქციის მარცვალი. ამ ფაზიდან უკვე შესაძლებელია თავთავების აღება და მარცვლის კვლავ განახლება (წარმოება). შესაბამისად, ელიტის და შემდგომი რეპროდუქციების თესვა აღარ ემსახურება თესლის განახლების მიზნებს.

შავი ანეული მთლიანად მიკუთვნებულია მეცნიერებაზე. თესვის აქტებიდან ირკვევა, რომ შავი ანეულის ნაწილი წლების მიხედვით გამოიყენებოდა მასიური რეპროდუქციის მისაღებად:

- 2006 წელი - 279 ჰექტრიდან 182 ჰექტარი (65%);
- 2007 წელი - 242.4 ჰექტრიდან 152 ჰექტარი (62%);
- 2008 წელი - 272 ჰექტრიდან 136 ჰექტარი (50%);

¹² შავი ანეული ეწოდება სახნავი მიწის ფართობს, რომელიც სამეურნეო წლის მანძილზე მუშავდება, მაგრამ არ გამოიყენება მოსავლის მიღების მიზნით. ყოველწლიურად ხდება დაახლოებით 270 ჰექტრის, მთლიანი სახნავი ფართობის 12%-ის დასვენება, რაც გამორიცხავს მიწის გამოფიტვას და ემსახურება მოსავლის ხარისხისა და რაოდენობის ზრდას.

¹³ სათესლე ჯიშების გამოყვანა და მათი მიყვანა სამეურნეო დანიშნულებით გამოსაყენებელ ეტაპამდე: შერჩევითი სანერგე, სათესლე სანერგე, პირველი, მეორე და მესამე წლის გამრავლება, სუპერ ელიტა და ელიტა.

¹⁴ მესამე რეპროდუქციის დათესვის მერე ფერმერი იძულებულია შეიძინოს ახალი სათესლე პროდუქცია, ვინაიდან მეოთხე და შემდგომი რეპროდუქცია კარგავს გამოსავლიანობის ხარისხს და მიზანშეწონილია გამოყენებული იქნეს მხოლოდ სამეურნეო მიზნით.

შესაბამისად, აღნიშნული ფართობები არ შეიძლება ჩაითვალოს მეცნიერების მიზნით გამოყენებულად. ეს ფართობები გამოყენებულია სამეურნეო მიზნით, დამატებითი შემოსავლების მისაღებად.

თესვის აქტებიდან ასევე ირკვევა, რომ წლების მიხედვით სამეცნიერო და სამეურნეო მიზნით დაკავებული იყო შემდეგი ფართობები:

წელი	სამეცნიერო დანიშნულებით გამოყენებული ფართობები (ჰა)					სამეურნეო მიზნით გამოყენებული ფართობი			სულ დათესილი ფართობი
	ცდა	გაურკვეველი	შერჩევითი სათესლე და გამრავლების სანერგეები	სუპერ ელიტა	სულ	ელიტა	მასიური რეპროდუქცია	სულ	
2006	3.88	90	87	194.2	375.08	975	525	1500	1875.08
2007	3.8	16	105	259	383.8	611	838	1449	1832.8
2008	10	30	40	250	330	986	595	1581	1911
2009	3	46	251	181	481	863	552	1415	1896

სადგურის მიერ წარმოდგენილი მონაცემებისგან განსხვავებული სურათი მიიღება იმ შემთხვევაშიც, თუ სამეცნიერო მიზნით გამოყენებულად ჩავთვლით ცხრილში ნაჩვენები გაურკვეველი ფართობებისა და შავი ანელის იმ ფართობების ჯამს, რომლებიც გამოიყენებოდა ცდებისა და პირველადი მეთესლეობისათვის:

(ჰექტარი)

	საცდელი სადგურის მონაცემების მიხედვით	თესვის აქტების ანალიზით	სხვაობა
2006 წელი	829	557	272
2007 წელი	583	536	47
2008 წელი	614	456	158


შედეგად, მეცნიერების მიზნით, წლების მიხედვით კახეთის საცდელი სადგური იყენებს მის სარგებლობაში არსებული სახნავი მიწის ფართობის არაუმეტეს დაახლოებით 20-25%, ხოლო მის სარგებლობაში არსებულ მიწის მთლიან ფართობთან მიმართებაში - მხოლოდ 15-19%. შესაბამისად იცვლება ინსტიტუტის მიერ წარმოდგენილი მონაცემები მთლიანად ინსტიტუტის მიერ სამეცნიერო მიზნით გამოყენებული ფართობების შესახებ და 31%-ის ნაცვლად, 27%-ს შეადგენს.

გასათვალისწინებელია, რომ აუდიტის ჯგუფს არ შეუძლებია კახეთის გარდა დანარჩენი 7 საცდელი სადგურის სამეცნიერო-სამეურნეო საქმიანობის საკითხები, რაც გავლენას ახდენს განსაზღვრული 27%-ის სიზუსტეზე. რამდენადაც ინსტიტუტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, 7 საცდელი სადგურისა და ინსტიტუტის მიწის საერთო ფართობიდან, რაც საშუალოდ 1004 ჰა შეადგენს, სამეცნიერო საქმიანობის მიზნით გამოიყენება 50%, დადგენილი პროცენტი ფაქტიურად წარმოადგენს მაქსიმუმს.

1.1.2. სამეურნეო საქმიანობა

1.1.2.1. მოსავლიანობა¹⁵

1 ჰექტარზე მიღებული მოსავალი ცენტნერებში



როგორც ჩანს, დინამიკა ყველა კულტურაზე მსგავსია. 2006 წელთან შედარებით, 2007-2008 წლებში მოსავლიანობა ყოველწლიურად მატულობს, ხოლო 2009 წელს საგრძნობლად ეცემა.

აუდიტის ჯგუფმა ვერ მოიძია ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს აგროტექნოლოგიური მოთხოვნების დაცვისა და ნორმალური კლიმატური პირობების შემთხვევაში მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის ნორმებს.

აქედან გამომდინარე, ჯგუფმა აღნიშნული საკითხი გამოიკვლია აუდიტის ობიექტისგან მიღებული ახსნა-განმარტებების, მოცემულ საკითხთან დაკავშირებით „საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ი.ნ. ლომოურის სახელობის ინსტიტუტის კახეთის საცდელი სადგურის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შესახებ“ 2003 წლის 6 სექტემბრის რევიზიის აქტის მონაცემების, ინსტიტუტის წერილების, ცალკეული ლიტერატურისა და აგრარული უნივერსიტეტიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე.

1. ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ, ა.მუმლაძემ წარმოადგინა მეცნიერთანამშრომლების¹⁶ მიერ მომზადებული ინფორმაცია კახეთის საცდელ სადგურში ხორბლის, ქერის, შვრიისა და მზესუმზირის 1 ჰექტარზე შესაძლო საშუალო მოსავლიანობის შესახებ:

N	საშუალო მოსავალი	ხორბალი	ქერი	(ცენტნერი/ჰა)	
				შვრია	მზესუმზირა
1	საშუალო მოსავალი	25-30	15-20	14-18	10-15

¹⁵ მარცვლოვანი კულტურების მოსავლიანობის საკითხი განხილულია მთლიანობაში, როგორც სამეცნიერო, ასევე სამეურნეო მიზნით გამოყენებული ფართობების მიხედვით.

¹⁶ ზ. ჯულუხიძე, ნ. ბენდიანიშვილი;

2. მეცნიერ-თანამშრომელთა ახსნა-განმარტებების თანახმად, კახეთის რეგიონში შესაძლებელია მარცვლოვანი კულტურების მიხედვით 1 ჰექტარზე შემდეგი რაოდენობის მოსავლის მიღება:

		(ცენტნერი/ჰა)			
N		ხორბალი	ქერი	შვრია	მზესუმზირა
1	მინიმალური	25	15	-	10
2	მაქსიმალური	30	20	-	15

3. საქართველოს კონტროლის პალატის 2003 წლის 6 სექტემბრის რევიზიის აქტის მონაცემებზე დაყრდნობით, კახეთის საცდელი სადგურის მიერ კულტურების მიხედვით მიღებულია მოსავლის შემდეგი ოდენობა:

		(ცენტნერი/ჰა)			
N		ხორბალი	ქერი	შვრია	მზესუმზირა
1	ნორმალური კლიმატური პირობები (2001 წელი)	35.6	29.7	18.4	9.7
2	კლიმატური პირობების გაუარესება (ძლიერი ქარები და სეტყვა 2002 წელი)	14.4	10.4	10	3.8

4. ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ საქართველოს საპატრიარქოსადმი გაგზავნილ წერილში¹⁷, რომლითაც ინსტიტუტი ითხოვდა მის ფაქტობრივ სარგებლობაში არსებული მიწის ფართობების გასხვისების თავიდან აცილების მიზნით „საპატრიარქოს მფარველობაში გადასვლას“, მოცემულია ინფორმაცია მარცვლოვანი კულტურების სავარაუდო მოსავლიანობისა და სარეალიზაციო ფასების შესახებ:

		(ცენტნერი/ჰა)			
N		ხორბალი	ქერი	შვრია	მზესუმზირა
1	მოსავალი ცენტნერი ჰექტარზე	30	25	15	10
2	ერთეული კილოგრამის სარეალიზაციო ფასი (ლარი)	1.00	0.70	1.50	1.50

5. გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების (GTZ) პროგრამის „სასოფლო-სამეურნეო განათლების მხარდაჭერა“ ფარგლებში 2006 წელს გამოცემული ნაშრომის „მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების, ტექნოლოგიური პროცესების ეკონომიკური შეფასება საქართველოს პირობებში“ მიხედვით, მარჟინალური დანახარჯების გამოთვლისას მარცვლეული კულტურების მინიმალური მოსავლიანობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

		(ცენტნერი/ჰექტარზე)			
N		ხორბალი	ქერი	შვრია	მზესუმზირა
1	მინიმალური	28	20	-	12

6. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით¹⁸, სელექციის მეთოდების გამოყენებით, მაღალ და სწორად წარმართულ აგროტექნიკურ ფონზე შესაძლებელია 1 ჰექტარზე საშუალოდ მიღებული იქნეს შემდეგი რაოდენობის პროდუქცია:

¹⁷ N01-04/08, 10.03.09

¹⁸ წერილი N09-04/128, 18/06/10 წ.;

N		ხორბალი	ქერი	შვრია	მზესუმზირა
1	მოსავალი ცენტნერი ჰექტარზე	35	25	22	18

როგორც ცნობილია, საერთო მოსავლიანობაზე გავლენას ახდენს სტიქიური მოვლენები, რომელთა სტატისტიკა¹⁹ შემოწმებულ პერიოდში ასეთია:

- 2008 წლის გაზაფხულზე დაისეტყვა 108 ჰა ხორბლის ნათესი, დაზიანების სავარაუდო გავლენა მოსავლიანობაზე 15-20%; 25 ჰა შვრიის ნათესი, დაზიანების სავარაუდო გავლენა მოსავლიანობაზე 20-25%; 54 ჰა მზესუმზირის ნათესი, დაზიანების სავარაუდო გავლენა მოსავლიანობაზე 95%;

- 2008-2009 სამეურნეო წლებში შემოდგომა-ზამთრის განმავლობაში და გაზაფხულის დასაწყისში ადგილი ჰქონდა მკაცრ გვალვრიანობას, რასაც შეიძლება გავლენა ჰქონოდა 2009 წლის მოსავლიანობაზე შემდეგი ფართობების მიხედვით: 333 ჰა ხორბლის ნათესი, დაზიანების შედეგად სავარაუდოდ მისაღები მოსავლის რაოდენობა 3-5 ც/ჰა, 152 ჰა ხორბლის ნათესის დაზიანების შედეგად სავარაუდოდ მისაღები მოსავლის რაოდენობა 9-12 ც/ჰა; 99 ჰა საშემოდგომო ქერის ნათესი, დაზიანების შედეგად სავარაუდოდ მისაღები მოსავლის რაოდენობა 4-5 ც/ჰა;

მოსავლიანობის ოდენობასთან დაკავშირებით ასევე საგულისხმოა ვიწრო და ფართო მწკრივებად თესვის ფაქტორი, კერძოდ, ფართო მწკრივებად დათესილია:

წელი	2006	2007	2008	2009
ფართობი (ჰა)	87	102.6	82.5	107
პროცენტი მთლიან დათესილ ფართობში	4.5 %	5.4 %	4.3 %	5.5 %

ფართო მწკრივებად დათესვა ხორციელდება სათესლე საწარგე ჯიშების გამოყენების და უკეთესი ხარისხის თესლის მისაღებად, რის შედეგად მიიღება შედარებით ნაკლები რაოდენობის, მაგრამ უფრო მსხვილი და ხარისხიანი მარცვალი, რაც მოსავლის აღების აქტების მიხედვით, საერთო ჯამში, წონაზე გავლენას არ ახდენს. რიგ შემთხვევებში ფართო მწკრივებიდან მიღებულია უფრო მეტი მოსავალი, ვიდრე ვიწრო მწკრივებით თესვისას.

იქიდან გამომდინარე, რომ ფართო მწკრივებად დათესილი ფართობები საერთო სახნავი ფართობის 5.5%-ს არ აჭარბებს, მათი ცალკე ანალიზი არ განხორციელებულა.

ზემოაღნიშნული ინფორმაციის ანალიზი ცხადყოფს, რომ კახეთის საცდელი სადგურის უპირატესობების მიუხედავად (ადამიანური და სამეცნიერო რესურსი, კულტურების მონაცვლეობისა და შავი ანეულის გამოყენების პრინციპი), რასაც უნდა გაეუმჯობესებინა მოსავლიანობის ზოგადი მაჩვენებლები, მიღებულია საპირისპირო შედეგები. კერძოდ, საცდელი სადგურის მიერ 1 ჰექტარზე მიღებული საშუალო მოსავლიანობის 4 წლის სტატისტიკა აუდიტის ჯგუფის მიერ გამოკვლეულ სასოფლო-

¹⁹ აუდიტის ობიექტის მიერ, შემოწმებულ პერიოდზე (2006-2009) სტიქიური მოვლენების გავლენის შესახებ წარმოდგენილია შემდეგი დოკუმენტები (აქტები: 16.04.08 წ; 19/05/09 წ.)

სამეურნეო კულტურების მისაღებ მოსავლიანობასთან მიმართებაში შემდეგნაირად გამოიყურება:

(ცენტნერი/ჰექტარზე)


კულტურის დასახელება	მისაღები მოსავლის ოდენობა ²⁰	ფაქტიურად მიღებული მოსავალი				სხვაობა			
		2006	2007	2008	2009	2006	2007	2008	2009
ხორბალი	30.6	19.01	21.12	25.5	16.69	11.59	9.48	5.1	13.91
ქერი	22.45	11.37	14.29	22.46	8.83	11.08	8.16	-0.01	13.62
შვრია	17.85	10	14.1	14.79	9.93	7.85	3.75	3.06	7.92
მზესუმზირა	12.45	6.36	8.56	5.34	3.52	6.09	3.89	7.11	8.93

წლების მიხედვით, ფაქტობრივად გამოყენებული ნათესი ფართობებიდან გამომდინარე მიიღება შემდეგი სხვაობა:

კულტურის დასახელება	დათესილი ფართობი (ჰა)				სხვაობა (ცენტნერი)					
	2006	2007	2008	2009	2006	2007	2008	2009	ზიანის გამოკეტივა ²¹	სულ
ხორბალი	971	1016	1008	1004	11253.89	9631.68	5140.8	13965.64	-9280	30712.01
ქერი	127	119	123	109	1407.16	971.04	-1.23	1484.58	-1287	2574.55
შვრია	133	127	84	104	1044.05	476.25	257.04	823.68	0	2601.02
მზესუმზირა	622	603	610	614	3787.98	2345.67	4337.1	5483.02	-679	15274.77

²⁰ წარმოდგენილი ინფორმაციის, ლიტერატურის და მეცნიერ-თანამშრომელთა გამოკითხვის საფუძველზე, აუდიტის ჯგუფის მიერ კახეთის საცდელი სადგურის საქმიანობის შედეგების ანალიზისათვის გამოყვანილი იქნა დარგისათვის დამახასიათებელი შესაძლო მოსავლიანობის საშუალო მაჩვენებლები.

²¹ გამოკეტილია კლიმატური პირობების გადახრებზე შედგენილ აქტებში მითითებულ ფართობებზე მოსული მოსავლის სხვაობა.



კულტურის დასახელება	მიღებული მოსავალი				მისაღები მოსავალი				მიღებული მოსავლის პროცენტული შეფარდება მისაღები მოსავლის რაოდენობასთან			
	2006	2007	2008	2009	2006	2007	2008	2009	2006	2007	2008	2009
შვრია	1330	1790.7	1242.36	1032.72	2374.05	2266.95	1499.4	1856.4	56%	79%	83%	56%
ქერი	1443.99	1700.51	2762.58	962.47	2851.15	2671.55	2761.35	2447.05	51%	64%	100%	39%
მზესუმზირა	3955.92	5161.68	3257.4	2161.28	7743.9	7507.35	7594.5	7644.3	51%	69%	43%	28%
ხორბალი	18458.7	21457.9	25704	16756.8	29712.6	31089.6	30844.8	30722.4	62%	69%	83%	55%

კახეთის საცდელი სადგურის მიერ მიღებულად ნაჩვენები და გამოყენებული რესურსებით მისაღები მარცვლეული კულტურების რაოდენობებს შორის სხვაობის (ნაკლებობის) მიახლოებითი მინიმალური საბაზრო ღირებულება სათესლე მასალის შემთხვევაში შეადგენს 3 524,7 ათას ლარს, ხოლო სამეურნეო მარცვლის შემთხვევაში - 2 733.9 ათას ლარს:

კულტურის დასახელება	მიღებული მოსავალი (ცენტნერი)	ერთეულის მინიმალური საბაზრო ღირებულება ²²		სულ სხვაობის ღირებულება სათესლე მასალის შემთხვევაში (ლარი)	სულ სხვაობის ღირებულება სასაქონლო მარცვლის შემთხვევაში (ლარი)
		სათესლე მასალის შემთხვევაში (ლარი)	სასაქონლო მარცვლის შემთხვევაში (ლარი)		
ხორბალი	30712.01	40	40	1,228,480.40	1,228,480.40
ქერი	2574.55	60	40	154,473.00	102,982.00

²² სხვაობა გამოყვანილია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს N4-1-8/1246, 28.05.10 წ. წერილით წარმოდგენილი 2006-2009 წლებში ხორბლის, ქერის, შვრიის და მზესუმზირის მინიმალური სარეალიზაციო ფასების მიხედვით;

შვრია	2601.02	60	40	156,061.20	104,040.80
მზესუმზირა	15274.77	130	85	1,985,720.10	1,298,355.45
			სულ	3,524,734.70	2,733,858.65

შესაბამისად, სახელმწიფო მოგების გადასახადის სახით, სათესლე მასალის შემთხვევაში დამატებით მიიღებდა 622,0 ათასი ლარის სარგებელს, ხოლო სასაქონლო მარცვლის შემთხვევაში - 485,7 ათასი ლარის სარგებელს.

აღნიშნული უარყოფითი შედეგების გამომწვევ ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს წესდების მოთხოვნების შეუსრულებლობა. წესდების თანახმად, სტრუქტურული ერთეული შეიმუშავებს და ინსტიტუტის დირექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს სამეცნიერო პროგრამას და ბიუჯეტის პროექტს, ხოლო სამეცნიერო საბჭოს - პერსპექტიული საქმიანობის გეგმებს²³.

ინსტიტუტსა და მის დაქვემდებარებაში მყოფ საცდელ სადგურებს 2006–2009 წლებში არ ჰქონდათ სათანადო წესით დამტკიცებული პერსპექტიული გეგმები, სადაც ჩამოყალიბებული იქნებოდა თესლის წარმოების ოდენობა მიწის ფართობებისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მიხედვით, ხარჯთაღრიცხვა და ტექნოლოგიური რუკები, რომლის მიხედვით უნდა განხორციელებულიყო აგროტექნიკური სამუშაოები და გაწეულიყო მასთან დაკავშირებული ხარჯები. შესაბამისად, საცდელი სადგურები როგორც სამეცნიერო, ასევე სამეურნეო საქმიანობას წარმართავდნენ თვითნებურად.

ინსტიტუტს მისი სტრუქტურული ერთეულების მიხედვით უნდა დაეგემა სამეცნიერო მიმართულებით ყოველწლიურად ჩასატარებელი სამუშაოები, მათი მოცულობა, ღირებულება (ხარჯთაღრიცხვა), ადამიანური რესურსები და, რაც მთავარია, განსაზღვრულიყო მოსალოდნელი შედეგები, რაც უზრუნველყოფდა სამეცნიერო მიზნების მისაღწევად განსაზღვრული სახელმწიფო რესურსების არამიზნობრივი გამოყენების პრევენციას.

ტექნოლოგიური რუკების არარსებობის გამო შეუძლებელია სახნავი, საძოვარი, ქარსაფარი, მისასვლელი გზებისა და სხვა ფართობების წლების მიხედვით დანიშნულებისამებრ გამოყენების, მათ შორის, დაუმუშავებელი ფართობის რეალობის დადგენა.

ინსტიტუტი არ აღრიცხავს მოსავალს სამეცნიერო და სამეურნეო მიზნების შესაბამისად გამოყენებული ფართობების მიხედვით, რაც ართულებს ინსტიტუტის სამეცნიერო საქმიანობის შედეგების შეფასებას სახელმწიფოსათვის რაიმე კონკრეტული სარგებლის მიღების თვალსაზრისით. შეუძლებელია პირველადი მეთესლეობის კუთხით გაწეული სამუშაოს შედეგების განცალკევებული შეფასება.

რაც შეეხება ცდებს, სადგურის მიერ 2006-2009 წლებში გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ ანგარიშების თანახმად წლების მიხედვით გაწეულია შემდეგი სამუშაო:

²³ მუხლი 11. პუნქტი 2. ქვეპუნქტი „ა“; პუნქტი 3. ქვეპუნქტი „ბ“.

წელი:	ცდებით დაკავებული მეცნიერების რაოდენობა (მეცნიერ-მუშაკი)	უშუალოდ ცდებით დაკავებული ფართობი (ჰექტარი)	ჩატარებული ცდების (თემების) რაოდენობა	დამხმარე ლაბორატორიული სამუშაოს სახით ჩატარებული ანალიზების რაოდენობა
2006	5	6.2	7	11
2007	4	6.4	8	11
2008	4	2.8	6	11
2009	4	2.4	6	7

სამეცნიერო საქმიანობის შესახებ ანგარიშებში წარმოდგენილი მონაცემები შეუსაბამოა ინსტიტუტის მიერ ცდების მიზნით გამოყენებული მიწის ფართობების შესახებ წარმოდგენილი ცნობის მონაცემებთან:

- 2006 წელში - 11.6 ჰა;
- 2007 წელში - 12.5 ჰა;
- 2008 წელში - 12.5 ჰა;
- 2009 წელში - 12.4 ჰა.

აღნიშნული სხვაობა, ინსტიტუტის განმარტების თანახმად, წარმოადგენს ცდების მიზნით გამოყენებული მიწის ფართობების გარშემო დატოვებული მისასვლელ გზებისათვის დათმობილ ფართობს²⁴, დაახლოებით 5 ჰა-ს, რომელთა რეალობის დადგენა შეუძლებელია.

ინსტიტუტის სამეცნიერო საქმიანობაში გამოყენებული რესურსებისა და მიღებული სამეცნიერო შედეგების იდენტიფიცირების სირთულე, რომელიც შექმნილია ზემოაღნიშნული გაუმჭირვალე პირობებით, ქმნის სახელმწიფო ქონებისა და ფინანსური სახსრების არამიზნობრივად გამოყენების მაღალ ალბათობას.

ინსტიტუტის დირექტორის განმარტებით, მათ ბიზნეს-გეგმები არ შეუმუშავებიათ, ვინაიდან მოგებაზე ორიენტირებულ დაწესებულებად არ მოიაზრებოდნენ. არსებული აგროწესებიდან გამომდინარე, კულტურის სხვადასხვა ჯიშებიდან მისაღები მოსავლის მოცულობას დამოუკიდებლად გეგმავდა თითოეული სადგური.

კახეთის საცდელი სადგურის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი ცნობის თანახმად, მეთესლეობის პირველადი საფეხურების გარდა, რომელიც ემსახურება ჯიშთა განახლებას, მათი საქმიანობა რეპროდუქციული თესლის მიღების მიზნით, რომლისთვისაც წლების მიხედვით გამოიყენება მთლიანი სახნავი ფართობის დაახლოებით 75-80%, ემსახურება სამარცვლე მეურნეობის საიმედო ბაზის განვითარებას, რათა სახელმწიფომ უზრუნველყოს შიდა მოთხოვნის საკუთარი წარმოებით დაკმაყოფილება და აღარ მოხდეს აღნიშნული პროდუქციის იმპორტი.

ამ მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკა არ უნდა განისაზღვროს საცდელი სადგურის დონეზე. „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის II კარის თანახმად, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების

²⁴ ობიექტის განმარტებით თითოეული ცდა ტარდება 4 განმეორებით, თითოეული განმეორების გარშემო ხდება თავისუფალი ფართობების დატოვება მისასვლელი გზებისათვის.

განვითარებას მართავს საქართველოს პარლამენტი, პრეზიდენტი და მთავრობა, რომლებიც ინაწილებენ შესაბამის უფლებამოსილებებს აღნიშნულ სფეროში.

სოფლის მეურნეობის სექტორის სტრატეგიის შემუშავება, დარგების მიხედვით პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელების ხელშეწყობა წარმოადგენს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს კომპეტენციას, და შესაბამისად, მისი კონტროლის ქვეშ უნდა ხორციელდებოდეს.

ამასთან, სამარცვლე მეურნეობის ბაზის განვითარება სცდება მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სფეროს. სამეურნეო საქმიანობა, რომელიც ორიენტირებულია იმპორტთან კონკურენციის საშუალებით სოფლის მეურნეობის პროდუქციის შიდა ბაზრის დაკმაყოფილებაზე, წარმოადგენს ტიპიურ აგრარულ საქმიანობას, რომელიც ხორციელდება კერძო სექტორში.

ამდენად, სადგური ამ აგრარულ სეგმენტში სახელმწიფო რესურსებს იყენებს სამეწარმეო მიზნით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წლების მიხედვით, ამ მიზნით გამოყენებული ფართობი მთლიან სახნავ ფართობთან მიმართებაში დაახლოებით 75-80%-ს შორის მერყეობს, რაც გულისხმობს იმას, რომ მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარებისათვის გამოყოფილი სახელმწიფო ქონების უდიდესი ნაწილი ამ მიმართულებით არ გამოიყენება.

აუდიტის აქტის მე-4 გვერდზე წარმოდგენილი ცხრილიდან, რომელიც ასახავს ინსტიტუტის მფლობელობაში არსებული მიწის ფართობის გამოყენების სტატისტიკურ მონაცემებს, ვლინდება დაუმუშავებელი მიწის ფართობის ზრდის ტენდენცია:

(3ა)

დასახელება	2006	2007	2008	2009
ინსტიტუტი	8.5	29.5	25.5	2.9
გარდაბანი	79.3	70	63.9	118.9
სართიჭალა	12.3	5	5	5
წყალტუბო	17	33.8	37	38
აჯამეთი	11	41.2	41	42
გორი	17.8	31.2	45.4	0
სენაკი	46.3	53.9	49.1	72.4
სულ	192.2	264.6	266.9	279.2

ყოველწლიურად სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული რამდენიმე ასეულ ჰა მიწის ფართობს, წელიწადში საშუალოდ 250 ჰა, ინსტიტუტი ფლობს უსარგებლოდ, რომლის შესახებ მას ობიექტური მიზეზები არ გააჩნია.

აღნიშნული გარემოება, ერთი მხრივ, მნიშვნელოვანი სახელმწიფო ქონების არამიზნობრივად გამოყენებაზე (გამოუყენებლობაზე) მიუთითებს. ტექნოლოგიური რუკების არარსებობის პირობებში, შეუძლებელია დადგინდეს, რამდენად იყო აღნიშნული ტერიტორია რეალურად დაუმუშავებელი, რაც სახელმწიფო ქონების უკანონოდ გამოყენების რისკის ზრდის დამატებითი არსებითი ფაქტორია.

სადგურის მიერ 2006-2009 წლებში მარცვლოვანი კულტურების წარმოებაზე გაწეული საერთო ხარჯიდან (სრული თვითღირებულება), რამაც 3438,4 ათასი ლარი

შეადგინა, სამეურნეო საქმიანობაზე გაიხარჯა დაახლოებით 2664,8 ათასი ლარი. ამდენად, სადგურის მიერ გაწეული ხარჯის უდიდესი ნაწილი სამეცნიერო საქმიანობისათვის არ გამოიყენება. სამეურნეო მიზნით გაწეული ხარჯების მოცულობა მეტყველებს, რომ სამეურნეო საქმიანობა არა დამხმარე ხასიათის, არამედ ინსტიტუტის საქმიანობის არსებით ნაწილს წარმოადგენს. კახეთის საცდელ სადგურს 2006-2009 წლებში გადასახადების სახით ბიუჯეტში გადახდილი აქვს 627,5 ათასი ლარი, ანუ საშუალოდ წელიწადში 156,8 ათასი ლარი. საშუალოდ წლიურად ერთ ჰექტარზე ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილი თანხა შეადგენს 54 ლარს.

გასაწევი ხარჯებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების ინსტიტუტის სტუქტურული ერთეულის დონეზე განსაზღვრა და გადაწყვეტა მკაფიოდ აისახება საცდელი სადგურის საქმიანობის შედეგებზე, რაც შეიძლება განვიხილოთ ხორბლის მოსავლის მაგალითზე, რომელიც სხვა კულტურებს შორის ძირითად ნაწილს წარმოადგენს:

ხორბლის მარცვალი	2006 წელი					2007 წელი				2008 წელი				(ცენტერი) 2009 წელი			
	ნაშთი წლის დასაწყისში	მიღებული პროდუქცია	საკუთარ წარმოებაში გამოყენება	რეალიზაცია	ნაშთი წლის ბოლოს	მიღებული პროდუქცია	საკუთარ წარმოებაში გამოყენება	რეალიზაცია	ნაშთი წლის ბოლოს	მიღებული პროდუქცია	საკუთარ წარმოებაში გამოყენება	რეალიზაცია	ნაშთი წლის ბოლოს	მიღებული პროდუქცია	საკუთარ წარმოებაში გამოყენება	რეალიზაცია	ნაშთი წლის ბოლოს
თესლი	13068	10393	2592	18341	2528	12120	2781	7419	4448	14370	2805	3602	12411	9274	3308	8655	9722
სასაქონლო	372	4322	21	3716	957	5088	172	4751	1122	6588	14	5157	2539	3345	0	4730	1154
თესლის განაწმენდი	0	1630	0	1630	0	1925	0	1925	0	1928	0	1928	0	1773	0	1773	0

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2007 წლიდან საგრძნობლად შემცირდა ხორბლის თესლის რეალიზაცია, უმნიშვნელოდ გაიზარდა სასაქონლო ხორბლის და თესლის განაწმენდის რეალიზაცია. მაგალითისათვის, 2009 წლის დასაწყისში საცდელ სადგურს ნაშთად ჰქონდა 12411 ცენტერი თესლი, წლის განმავლობაში მიიღო 9274 ცენტერი ახალი მოსავალი, საიდანაც რეალიზებულია მხოლოდ 8655 ცენტერი. მსგავსი დინამიკა გამოიწვევს ნაშთის ყოველწლიურ ზრდას, რაც, პირველ რიგში, გაზრდის შენახვის დანახარჯებს და შესაძლოა გამოიწვიოს თესლის გაუვარგისეობა.

1.1.2.2. მარცვლოვანი კულტურების სარეალიზაციო ფასები

სადგურის მიერ წლების მიხედვით რეალიზებული პროდუქციის რაოდენობის და მიღებული ამონაგების შესაბამისად ერთეული პროდუქციის სარეალიზაციო ფასებია:

კულოტურის დასახელება	2006 წელი				2007 წელი			2008 წელი			2009 წელი		
	პროდუქციის დასახელება	ამონაგები (ლარებში)	სულ რაოდენობა (ცენტნერი)	ერთეული სარეალ. ფასი	ამონაგები (ლარებში)	სულ რაოდენობა	ერთეული სარეალ. ფასი	ამონაგები (ლარებში)	სულ რაოდენობა	ერთეული სარეალ. ფასი	ამონაგები (ლარებში)	სულ რაოდენობა	ერთეული სარეალ. ფასი
ხორბალი	თესლი	730,465.00	18,341.00	39.8	484,535.00	7,419.00	65.3	237,222.00	3,602.00	65.9	292,983.00	8,655.00	33.9
	სასაქონლო	91,952.00	3,716.00	24.7	216,655.00	4,751.00	45.6	173,978.00	5,157.00	33.7	144,860.00	4,730.00	30.6
	თესლის განაწმენდი	20,079.00	1,630.00	12.3	20,980.00	1,925.00	10.9	32,281.00	1,928.00	16.7	21,276.00	1,773.00	12
ქერი	თესლი	25,769.00	628	41	8,495.00	166	51.2	2,898.00	52	55.7	23,763.00	787	30.2
	სასაქონლო	284	14	20.3	18,169.00	386	47.1	12,717.00	350	36.3	31,198.00	1,019.00	30.6
	თესლის განაწმენდი	1,526.00	123	12.4	1,835.00	153	12	1,536.00	138	11.1	0	101	0
შვრია	თესლი	20,697.00	611	33.9	0	0	0	22,179.00	314	70.6	1,270.00	21	60.5
	სასაქონლო	3,927.00	143	27.5	50,909.00	1,187.00	42.9	6,183.00	164	37.7	7,765.00	251	30.9
	თესლის განაწმენდი	0	0	0	0	0	0	3,505.00	93	37.7	0	0	0
მზესუმზირა	თესლი	95,581.00	695	137.5	50,223.00	544	92.3	291,697.00	1,913.00	152.5	7,830.00	35	223.7
	სასაქონლო	83,036.00	1,851.00	44.9	152,249.00	2,611.00	58.3	47,655.00	837	56.9	65,581.00	1,216.00	53.9
	თესლის განაწმენდი	0	0	0	0	0	0	7,000.00	175	40	9,775.00	213	45.9

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი 2006-2009 წლებში ხორბლის, ქერის, შვრიის და მზესუმზირის მინიმალური და მაქსიმალური სარეალიზაციო ფასები მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში:

დასახელება	(ცენტნ/ლარი)	
	სათესლე	სასაქონლო
ხორბალი	40-60	40-50
ქერი	60-70	40-50
შვრია	60-70	40-50
მზესუმზირა	130-150	85-120

ცხრილში მოცემული საბაზრო ფასების მიხედვით სადგურის მიერ მისაღები მინიმალური ამონაგები შედარებული იქნა ფაქტობრივად მიღებულ ამონაგებთან, რის საფუძველზე მიღებულმა სხვაობამ შეადგინა 707,9 ათასი ლარი, რაც დეტალურად წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში:

პროდუქციის დასახელება	2006 წელი				2007 წელი				2008 წელი				2009 წელი			
	ფაქტობრივი ამონაგები	მისაღები მინიმ. ამონაგები	სხვაობა		ფაქტობრივი ამონაგები	მისაღები მინიმ. ამონაგები	სხვაობა		ფაქტობრივი ამონაგები	მისაღები მინიმ. ამონაგები	სხვაობა		ფაქტობრივი ამონაგები	მისაღები მინიმ. ამონაგები	სხვაობა	
ხორბალი	თესლი	730,465	733,640	-3,175	484,535	296,760			237,222	144,080			292,983	346,200	-53,217	
	სასაქონლო	91,952	148,640	-56,688	216,655	190,040			173,978	206,280	-32,302		144,860	189,200	-44,340	
	თესლის განაწმენდი	20,079	65,200	-45,121	20,980	77,000	-56,020		32,281	77,120	-44,839		21,276	70,920	-49,644	
ქერი	თესლი	25,769	37,680	-11,911	8,495	9,960	-1,465		2,898	3,120	-222		23,763	47,220	-23,457	
	სასაქონლო	284	560	-276	18,169	15,440	2,729		12,717	14,000	-1,283		31,198	40,760	-9,562	

	თესლის განაწმენდი	1,526	4,920	-3,394	1,835	6,120	-4,285	1,536	5,520	-3,984	1,212	4,040	-2,828
შვრია	თესლი	20,697	36,660	-15,963	0	0	0	22,179	18,840		1,270	1,260	
	სასაქონლო	3,927	5,720	-1,793	50,909	47,480		6,183	6,560	-377	7,765	10,040	-2,275
	თესლის განაწმენდი	0	0	0	0	0	0	3,505	3,720	-215	0	0	0
მზესუბრია	თესლი	95,581	90,350		50,223	70,720	-20,497	291,697	248,690		7,830	4,550	
	სასაქონლო	83,036	157,335	-74,299	152,249	221,935	-69,686	47,655	71,145	-23,490	65,581	103,360	-37,779
	თესლის განაწმენდი	0	0	0	0	0	0	7,000	14,875	-7,875	9,775	18,105	-8,330
	სულ		212,620		სულ	149,224		სულ	114,587		სულ	231,432	

აღნიშნული სხვაობის საფუძველზე ინსტიტუტს შეუმცირდა ბიუჯეტის სასარგებლოდ გადასახდელი მოგების გადასახადი 124,3 ათასი ლარის ოდენობით.

რაც შეეხება ცხრილში მოცემულ თესლის განაწმენდს, აღნიშნული პროდუქტი ყოველწლიურად გაიცემა ხელფასის სახით (ნატურით ანაზღაურება) და ასევე ძირითადად თანამშრომლებზე იყიდება.

ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელთა²⁵ ახსნა-განმარტების თანახმად, ხორბლის მარცვლისაგან (საბუნკერე წონა) თესლის დამზადების შემთხვევაში ვარგისი პროდუქციის სახით მიღებული ანარჩენი გამოიყენება მხოლოდ მეცხოველეობაში და მეფრინველეობაში (საკვებად), ხოლო სასაქონლო ხორბლის დამზადების შემთხვევაში სხვა სახის ვარგისი ანარჩენი არ მიიღება და დანაკარგი შრობისა და მკვდარი ანარჩენის სახით შეადგენს მხოლოდ 5-10 %-ს.

ამრიგად, თესლის განაწმენდის სახელწოდებით მოხსენებული პროდუქტი წარმოადგენს სამეურნეო დანიშნულების მარცვალს, რაზეც მეტყველებს შემდეგი გარემოებებიც, კერძოდ:

– თვითღირებულების დაანგარიშებისას (გადანაწილებისას), თესლის განაწმენდი რაოდენობრივად შედის სასაქონლო ხორბალში და მიეკუთვნება იგივე ღირებულება, რაც ამ უკანასკნელს, განსხვავებით თესლისა (მიეკუთვნება უფრო მეტი) და ვარგისი ანარჩენისაგან (მიეკუთვნება უფრო ნაკლები);

– არც ერთ წელს „თესლის განაწმენდი“ სადგურს ნაშთად არ რჩება, აღნიშნულიც მიანიშნებს იმაზე, რომ პროდუქტი ცალკე სახელწოდებით გამოიყოფა სპეციალურად, კონკრეტული რაოდენობით, რაც ხდება თესლის და სასაქონლო მარცვლის შემცირების ხარჯზე. თუმცა, მისი ფასი მიწოდებისას დაბალია არამარტო სასაქონლო ხორბლის სარეალიზაციო ფასთან, არამედ თვითღირებულებასთან შედარებითაც.

თესლის განაწმენდის რეალიზაციით მიღებულ ფაქტობრივ ამონაგებსა და მინიმალური საბაზრო ფასებით მისაღებ შემოსავალს შორის სხვაობა 226,5 ათასი ლარი წარმოადგენს თანამშრომლების მიერ მიღებულ სარგებელს და აღნიშნული თანხა ოთხი წლის განმავლობაში, რეალიზაციის გარდა, გავლენას ახდენდა ასევე საშემოსავლო გადასახადის ოდენობაზე, რომელიც უნდა დაკავებოდათ იმ თანამშრომლებს, რომლებზეც განხორციელდა აღნიშნული პროდუქციის საბაზრო ფასზე დაბალ ფასში მიყიდვა, ან უსასყიდლოდ გადაცემა გაწეული სამუშაოს ნატურით (სასაქონლო

²⁵ ზ.ჯუღუხიძე, ნ.ბენდიანიშვილი.

ფორმით) ანაზღაურების მიზნით. ამავე თანხით გაიზრდებოდა ხელფასის სახით გაწეული ხარჯები.

1.2. მევენახეობა

წელი	დაკავებული ფართობი (ჰა)	მოსავალი (ცენტნერი) მიღებული 1 ჰა-ზე	ამონაგები (ლარი)	რეალიზებული პროდუქცია ცენტნერი	რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება (ლარი)	მოგება/ზარალი (ლარი)
2006	24.6	34.07	23,265.00	838	46,241.00	-22,976.00
2007	24.6	46.3	32,059.00	1139	56,609.00	-24,550.00
2008	24.6	21.95	17,946.00	540	54,470.00	-36,524.00
2009	25	18.92	22,721.00	473	40,227.00	-17,506.00

წელი	ამონაგები	სულ პირდაპირი დანახარჯები	საოპერაციო მოგება/ზარალი
2006	23,265.00	-29,932.00	-6,667.00
2007	32,059.00	-45,353.00	-13,294.00
2008	17,946.00	-29,948.00	-12,002.00
2009	22,721.00	-37,015.00	-14,294.00

ერთ ჰექტარზე საშუალო მოსავლიანობამ 30 ცენტნერი შეადგინა. მიღებული ამონაგები კი პირდაპირ დანახარჯებსაც ვერ ფარავს. შესაბამისად, საცდელი სადგურის საქმიანობა მევენახეობის კუთხით ფინანსურად არარენტაბელურია.

სიღნაღის რაიონის სოფელ ულიანოვკაში, სადაც ვენახი მდებარეობს, კახეთის სხვა რეგიონებისაგან განსხვავებით, ყურძნის (რქაწითელი) მოსავალი შედარებით გვიან მოდის, როდესაც ბაზარზე მოთხოვნა სჭარბობს მიწოდებას. ასეთი ხელსაყრელი გარემოების მიუხედავად, სადგურის მიერ 1 ცენტნერი ყურძენი გაყიდულია საშუალოდ 32 ლარად, რაც საშუალო საბაზრო ფასებთან²⁶ შედარებითაც საგრძნობლად ნაკლებია, კერძოდ:

წელი	რეალიზებული პროდუქცია ცენტნერი	ამონაგები	რეალიზ. პროდუქციის ერთეულის ფასი (ლარი)	ერთეულის საბაზრო ფასი	საბაზრო ფასის მიხედვით მისაღები ამონაგები	სხვაობა
2006	838	23265.0	27.8	50.0	41,900.0	18,635.0
2007	1139	32059.0	28.1	34.0	38,726.0	6,667.0
2008	540	17946.0	33.2	57.0	30,780.0	12,834.0
2009	473	22721.0	48.0	49.0	23,177.0	456.0
				სულ		38,592.0

²⁶ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის „საქსტატის“ წერილი: N8-03/05, 29.04.10 წ.

შემოწმებულ პერიოდში ყურძნის რეალიზაციით საბაზრო ფასებთან მიმართებაში მიღებულია სულ 38,6 ათასი ლარით ნაკლები შემოსავალი, რამაც შესაბამისად შეამცირა მოგების გადასახადი 7,0 ათას ლარის ოდენობით.

საქართველოს აგარარული უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული მონაცემების თანახმად,²⁷ კახეთის რეგიონში ყურძნის საშუალო მოსავლიანობა 1 ჰა-ზე შეადგენს 45 ცენტნერს. ამ მონაცემთან შედარებით, კახეთის საცდელი სადგურის მიერ 2006-2009 წლებში ჯამში მიღებულია 1219 ცენტნერით ნაკლები მოსავალი, რომლის საბაზრო ღირებულება წლების მიხედვით არსებული საბაზრო ფასების შესაბამისად შეადგენს 77,7 ათას ლარს. საშუალო მონაცემის მიხედვით მოსავლის მიღების შემთხვევაში მოგების გადასახადის სახით სახელმწიფო დამატებით მიიღებდა 12,3 ათას ლარის სარგებელს.

1.3. მეცხოველეობა

	პროდუქციის დასახელება	გეგმა					ფაქტი				
		პროდუქცია (ცენტნერი)	ამონა- გები	პროდუქციის ხარჯი	მოგება (+)	ზარალი (-)	პროდუქცია (ცენტნერი)	ამონა- გები	პროდუქციის ხარჯი	მოგება (+)	ზარალი (-)
2006	რძე	325	8,125	21,614		13,489	112	3,515	8,789		5,271
	მსხვილფეხა (ცოცხალი წონა)	147	44,100	44,087	13						
	ღორი (ცოცხალი წონა)	91	31,850	55,970		24,120	93	24,801	44,458		19,657
	ყველი						3	840	2,252		1,412
	მსხვილ.საქონლის ხორცი						9	1,790	4,935		3,145
	ღორის ხორცი						11	1,935	6,038		4,103
	სულ მეცხოველეობა		84,075	121,671	13	37,609		32,881	66,469		33,588
2007	რძე	416	12,480	27,323		14,843	170	7,900	13,218		5,318
	მსხვილფეხა (ცოცხალი გაყიდული)	124	31,000	35,061		4,061	17	3,525	4,713		1,188
	მეცხოველეობის ჯამი		43,480	62,384		18,904	186	11,425	17,931		6,506
	რძე	10	600	663		63	116	6,271	18,272		12,001
	მსხვილ (ცოცხალი გაყიდული)	101	25,250	41,147		15,898	24	6,304	8,380		2,076
	გაყიდული დაკლული ხორცი						6	1,046	2,043		997
	მეცხოველეობის ჯამი		25,850	41,810		15,960		12,575	26,652		15,074
2009	რძე	80	4,000	5,300		1,300	88	3,435	12,529		9,094
	მსხვილ (ცოცხალი წონა)	98	24,500	41,681		17,181	35	6,608	9,375		2,767
	დაკლული ხორცი						1	272	501		229
	სულ მეცხოველეობა		28,500	46,981		18,481		10,315	22,405		12,090

მეცხოველეობა აუდირებული წლების განმავლობაში იგეგმება ზარალით და ფაქტობრივი შედეგებითაც ზარალიანია. სადგურის ხელმძღვანელობა გადაწყვეტილებების მიღებისას შეგნებულად უშვებს, რომ ეს საქმიანობა არ ემსახურება შემოსავლების მიღებას, შესაბამისად, სახელმწიფო სახსრები არამიზნობრივად იხარჯება.

²⁷ (წერილი N09-04/128, 18/06/10 წ.)

შესწავლილი დოკუმენტებიდან²⁸ ირკვევა, რომ აღნიშნული დარგი 1997 წლიდან ზარალიანია და ზარალის მოცულობა წლიდან წლამდე იზრდება. აღნიშნულ საკითხი სადგურის ხელმძღვანელის (ვ. ქეცხიშვილი) მხრიდან არაერთგზის²⁹ იქნა დაყენებული. დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ფერმაში არ არის შექმნილი სათანადო პირობები, მითითებულია პირუტყვის შეცვლის, შენობების კაპიტალური რემონტის, ან ფერმის ლიკვიდაციის აუცილებლობაზე. თუმცა, დღემდე ამ კუთხით რაიმე გადაწყვეტილება არ მიღებულია. კვლავ გრძელდება ხარჯების უსარგებლოდ გაწევა, რაც ინსტიტუტისა და სადგურის ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას წარმოადგენს.

„ვეტერინარიის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად³⁰, ცხოველებისა და სახელმწიფო ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული ობიექტების მფლობელებს ეკრძალებათ ვეტერინარი ექიმის ნებართვისა და ვეტერინარული შემოწმების გარეშე ცხოველთა დაკვლა, დაკლული ცხოველის ხორცისა და სუბპროდუქტების რეალიზაცია. აღნიშნულის მიუხედავად, საცდელი სადგურის მიერ ხშირად ხდებოდა ცხოველების დაკვლა, რის მიზეზად დასახელებულია ცხოველთა ავადმყოფობა და შემდგომი მკურნალობისათვის ხარჯების გაწევის მიზანშეუწონლობა³¹. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოქმედი კანონმდებლობის³² დარღვევით, მეცხოველეობის ფერმაში მუშაობდა შესაბამისი სერტიფიკატის არმქონე ვეტერინარი.

სულ წლების მიხედვით, იძულებით დაიკლა, დაეცა, რეალიზებული და დაკარგულია შემდეგი რაოდენობის მსხვილფეხა საქონელი:

წელი	იძულებით დაიკლა (ცალი)	დაეცა (ცალი)	დაიკარგა (ცალი)	გაიყიდა (ცალი)	სულ გასული საქონლის წონა (კგ)	სულ გასული საქონლის ღირებულება (ლარი)
2006	17	2	0	0	3087	9341
2007	15	3	10	6	7091	23119
2008	3	2	0	17	4063	15423
2009	11	12	0	9	5470	19310
სულ	46	19	10	32	19711	67193

იძულებით დაკვლის შესახებ უმეტესად შედგენილია მხოლოდ შიდა კომისიური და პირუტყვის გასავლის აქტები, სადაც აღნიშნულია სიბერის და სხვადასხვა დაავადებების შესახებ. უმრავლეს შემთხვევაში მითითებულია, რომ ხორცი ბარდება გურჯაანის ძეხვის საამქროს. თუმცა, ცხოველის ავადმყოფობა დასტურდება მხოლოდ რიგ შემთხვევებში, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ „გურჯაანის საველე

²⁸ კახეთის საცდელი სადგურის ხელმძღვანელის ვ. ქეცხიშვილის მოხსენებითი ბარათი N7, 2009 წლის 1 მაისი, ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს გ. ბოლდაშვილს; გ. ბოლდაშვილის ბრძანება N08-19, 20.08.09 მეძროხეობის ფერმის მდგომარეობის შესწავლის მიზნით კომისიის შექმნის შესახებ, აქტი 22.08.09;

²⁹ მომართვები: 09.04.01 N5, 19.12.02 N39; 03.04.02 N18; 20.01.04 N5; 27.06.05 N17 (თუმცა დოკუმენტაცია აუდიტის ჯგუფისთვის ვერ იქნა წარმოდგენილი).

³⁰ მუხლი 32. პუნქტი „ზ“;

³¹ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2005 წლის 11 ოქტომბერი N2-235 ბრძანებით დამტკიცებული „საკლავი ცხოველების ვეტერინარული შემოწმებისა და ხორცისა და ხორცის პროდუქტების ვეტერინარულ-სანიტარიული ექსპერტიზის წესის“ მე-3 მუხლის 13 პუნქტის თანახმად იძულებითი დაკვლა განმარტებულია როგორც – ავადმყოფი ცხოველების დაკვლა ვეტერინარი სპეციალისტის მითითებითა და კონტროლის ქვეშ ცხოველების დაცემის თავიდან აცილების მიზნით ან მათი მკურნალობის ეკონომიკური მიზანშეუწონლობის გამო.

³² ვეტერინარიის შესახებ საქართველოს კანონის 34-მუხლის პირველი პუნქტი.

სადგურის ლაბორატორიის“ დასკვნებით. ძირითადად პირუტყვი დაიკლა და რეალიზებულია სერტიფიცირებული ექიმ-ვეტერინარის კონტროლის, ნებართვისა და შემოწმების გარეშე. ამასთან, საქონლის რეალიზაციის და თანხის მიღების ფაქტი შესაბამისი დოკუმენტაციით არ დგინდება.

მიღებული რძის პროდუქციის შეფარდება მეწველი ძროხების რაოდენობასთან შემდეგნაირია:

დასახელება	2006	2007	2008	2009
მიღებული რძე (ლიტრი)	17 500	28 500	18 200	14 600
მეწვ. ძროხების საშუალო რაოდენობა წელიწადში	48.5	49	47	47.5
წელიწადში ერთი ძროხისგან საშუალოდ მიღებული რძე (ლიტრი)	360	580	390	310

აღნიშნული მონაცემებით, ერთი ძროხის საშუალო წველადობამ წელიწადში შეადგინა 410 ლიტრი, რაც დღიურად 1.1 ლიტრს უდრის.

საცდელ სადგურს 2006 წელს გააჩნდა მეღორეობის ფერმაც. პირუტყვის გასავლის აქტებით, 287 კგ ცოცხალი წონიდან ხორცის რეალიზებულ წონად მითითებულია 165 კგ (გამოსავლიანობა–57%), რომელიც გაიხარჯა მწყემსების საკვებად, ხოლო გურჯაანის ძეხვის მწარმოებელ საამქროში ჩაბარებული 420 კგ ცოცხალი წონიდან რეალიზებულ წონად მითითებულია 224 კგ., (გამოსავლიანობა – 53%), რომელიც რეალიზებულია კილოგრამი 2 ლარად.

მეცხოველეობის პროდუქტების საშუალო სარეალიზაციო ფასმა წლების მიხედვით შეადგინა:

პროდუქტის დასახელება	2006	2007	2008	2009
დორი (ცოცხალი წონა)	2.7	–	–	–
ლორის ხორცი	1.76	–	–	–
საქონელი (ცოცხალი წონა)	–	2.1	2.6	1.9
საქონელის ხორცი	2.0	–	1.74	2.1

ყურძნისა და მეცხოველეობის პროდუქტების რეალიზაციის ფასების ანალიზი და ვეტერინარიის სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტების მოთხოვნების დაუცველობა იმაზე მიუთითებს, რომ მევენახეობისა და მეცხოველეობის ზარალიანობის მიზეზი არ არის მხოლოდ მოძველებული ინფრასტრუქტურა, ვაზისა და პირუტყვის ასაკი, არამედ ფასების არასწორი პოლიტიკა და ვეტერინარული წესებისა და მოთხოვნების დაუცველობა.

ინსტიტუტის მიერ მევენახეობისა და მეცხოველეობის შემდგომი წარმოება მიზანშეუწონელია, რადგან იგი იწვევს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების მხრიდან სახელმწიფო სახსრების გადინებას იმ მიმართულებით, რომელიც არ შედის მის ფუნქციებში და სახელმწიფოსთვის რაიმე სარგებლის მოტანას არ ემსახურება. მევენახეობას და მეცხოველეობას არ აქვს რაიმე კავშირი მეცნიერებასთან, რა მიზნითაც დაფუძნებულია ინსტიტუტი.

წესდებით გაუთვალისწინებელ ზემოაღნიშნულ საქმიანობაზე კახეთის საცდელმა სადგურმა გასწია 265.0 ათასი ლარის პირდაპირი ხარჯი, მათ შორის, მევენახეობაზე – 142,2 ათასი, ხოლო მეცხოველეობაზე 122,8 ათასი ლარი, რაც ფაქტიურად,

არამიზნობრივ ხარჯს წარმოადგენს. არაპირდაპირი დანახარჯების გათვალისწინების შემთხვევაში ხარჯი გაცილებით მეტია.

მევენახეობა და მეცხოველეობა წლების მანძილზე იგეგმება ზარალით და ფაქტობრივი შედეგებიც ზარალიანია, რამაც 2006–2009 წლებში შეადგინა 168,8 ათასი ლარი.

მევენახეობისა და მეცხოველეობის მიზნებისათვის გამოიყენება საცდელი სადგურის ფაქტობრივ სარგებლობაში არსებული მიწის მთლიანი ფართობის შესაბამისად 1% (25 ჰა) და 23% (659 ჰა).

აუდიტიდან გამომდინარე ჩანს, რომ კახეთის საცდელი სადგური თვითნებურად არამიზნობრივად იყენებს არამხოლოდ სახელმწიფო ქონებას, არამედ ფულად სახსრებსაც. სამეურნეო მიზნით გამოყენების გარდა, სადგურმა რიგ შემთხვევებში ფულადი სახსრები განკარგა სხვა დანიშნულებისამებრ, მაგალითად, 29,7 ათასი ლარი - სოფელ ულიანოვკის მოსახლეობის გაზიფიცირებაზე, 3,7 ათასი ლარი - ამავე სოფელში მცხოვრები მრავალშვილიანი დედისთვის ბინის შეძენაზე, 1,0 ათასი ლარი - ლტოლვილთა და დაჭრილთა დასახმარებლად, 1,0 ათასი ლარი - მოქალაქის მკურნალობაზე.

2006-2009 წლებში, ინსტიტუტის მიერ სამეურნეო საქმიანობისათვის მიწის ფართობის გამოყენებით მიღებული ფინანსური შედეგის გათვალისწინებით, საშუალოდ, ერთ ჰექტარზე წლიური მოგება 138 ლარს შეადგენს:

დასახელება	2006				2007				2008				2009			
	შემოსავალი	ხარჯი	შედეგი		შემოსავალი	ხარჯი	შედეგი		შემოსავალი	ხარჯი	შედეგი		შემოსავალი	ხარჯი	შედეგი	
			მოგება	ზარალი			მოგება	ზარალი			მოგება	ზარალი			მოგება	ზარალი
ინსტიტუტი	156.9	145.0	11.9	-	96.6	70.0	26.6	-	82.5	72.2	10.3	-	92.2	99.6	-	7.4
კახეთი	1,119.3	597.4	521.9	-	1,070.3	526.9	543.4	-	871.7	470.7	401.0	-	642.8	566.0	76.8	-
გარდაბანი	87.4	85.0	2.4	-	91.5	90.2	1.3	-	119.3	104.9	14.4	-	78.9	100.6	-	21.7
სართიჭალა	97.6	91.8	5.8	-	189.9	164.5	25.4	-	132.1	100.7	31.4	-	115.0	145.0	-	30.0
წყალტუბო	4.3	5.8	-	1.5	1.2	0.9	0.3	-	1.7	0.8	0.9	-	0.8	0.8	-	-
აჯამეთი	10.6	25.0	-	14.4	0.7	2.2	-	1.5	1.9	2.8	-	0.9	1.7	1.7	-	-
გორი	23.8	40.7	-	16.9	26.9	33.7	-	6.8	16.8	30.3	-	13.5	-	-	-	-
სენაკი	5.5	5.4	0.1	-	4.9	4.9	-	-	6.1	6.5	-	0.4	7.1	8.9	-	1.8
ახალქალაქი	15.6	18.7	-	3.1	4.0	2.4	1.6	-	16.5	13.7	2.8	-	-	-	-	-
სულ	1,521.0	1,014.8	542.1	35.9	1,486.0	895.7	598.6	8.3	1,248.6	802.6	460.8	14.8	938.5	922.6	76.8	60.9

2. ინსტიტუტის მართვა

2.1. ორგანიზაცია და სტატუსი

ინსტიტუტსა და მის სტრუქტურულ ერთეულებს შორის ორგანიზაციული კავშირი არ შეესაბამება სადამფუძნებლო დოკუმენტაციით განსაზღვრულ სისტემას. არასწორი სტრუქტურული პროცესები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს და უარყოფითად აისახება ინსტიტუტის საქმიანობაზე.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის 2002 წლის 24 მაისის N16 ბრძანებით დამტკიცებული წესდების თანახმად, ინსტიტუტი აღნიშნული აკადემიის სტრუქტურულ სახელმწიფო დაწესებულებას წარმოადგენდა, ხოლო საცდელი სადგურები - მის მართვაში შემავალ იურიდიულ ერთეულებს. 2006 წელს ინსტიტუტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირად დაფუძნების შემდეგ, საცდელი სადგურები დარჩნენ სტრუქტურულ ერთეულებად.

2002 წელს ინსტიტუტის ერთ-ერთი დანაყოფი, კერძოდ, კახეთის საცდელი სადგური დარეგისტრირდა, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი და 2009 წლის თებერვლამდე საქმიანობას აღნიშნული სტატუსით განაგრძობდა. 2009 წლის 18 თებერვალს ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის N08-03 ბრძანებით განხორციელდა სსიპ მიწათმოქმედების ინსტიტუტის კახეთის საცდელი სადგურის სსიპ ი. ლომოურის მიწათმოქმედების ინსტიტუტთან შერწყმა და კახეთის სადგურმა სსიპ ფორმით არსებობა შეწყვიტა.

სტრუქტურული ერთეულის საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით დაფუძნებითა და რეგისტრაციით დაირღვა ინსტიტუტის საქმიანობის მარეგულირებელი ნორმატიული აქტები.³³ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის³⁴ თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელს არ აქვს სსიპ-ის დაფუძნების ან ლიკვიდაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების უფლება.

კანონმდებლობის დარღვევით³⁵ ფუნქციონირებდნენ ინსტიტუტის სხვა დანარჩენი საცდელი სადგურები. 2009³⁶-2010³⁷ წლამდე ისინი ფუნქციონირებდნენ სახაზინო საწარმოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით, რომელიც კანონმდებლობით 1999 წელს გაუქმდა.

წესდების თანახმად, საცდელი სადგურის ხელმძღვანელს ირჩევს სამეცნიერო საბჭო³⁸. კერძოდ, ვ.ქევხიშვილი კახეთის სადგურს ხელმძღვანელობდა ისე, რომ სამეცნიერო საბჭოს აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილება არ მიუღია. იგი გამოსცემდა ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტებს (ბრძანებებს)³⁹, მათ შორის,

³³ აუდიტის ჯგუფმა სადამფუძნებლო დოკუმენტაცია ვერ მოიძია;

³⁴ მუხლი 5, 16;

³⁵ კანონი „მეწარმეთა შესახებ“ მუხლი 70, ინსტიტუტის წესდება მუხლი 3. პუნქტი 2;

³⁶ სართიჭალის, გარდაბნის სადგურები;

³⁷ წყალტუბოს, აჯამეთის, გორის, სენაკის და ახალქალაქის სადგურები;

³⁸ ინსტიტუტის წესდება მუხლი 12. პუნქტი 2.

³⁹ კახეთის საცდელი სადგურის ხელმძღვანელი ბრძანება N14. 23.05.08

მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნასთან დაკავშირებით, რისი უფლებამოსილება მას არ გააჩნდა⁴⁰.

სადგურების ხელმძღვანელებს სადგურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე გარიგების დადება შეეძლოთ მხოლოდ ინსტიტუტის დირექტორის რწმუნების საფუძველზე. სადგურების მიერ გარიგებები გაფორმებულია ზემოაღნიშნული წესის დარღვევით⁴¹. მაგალითად, გ. ბოლდაშვილმა, როგორც კახეთის საცდელი სადგურის დირექტორის მოადგილემ, სს საქართველოს სახალხო ბანკთან გააფორმა სადეპოზიტო ხელშეკრულება 400,0 ათას ლარზე.

2007-2009 წლებში ინსტიტუტის საშტატო განრიგი (საბიუჯეტო დაფინანსების) სამინისტროსთან შეთანხმების შემდეგ დამტკიცებულია ინსტიტუტის დირექტორის (მოვალეობის შემსრულებლის) მიერ, მაშინ როდესაც ინსტიტუტის წესდებით, საშტატო განრიგის დამტკიცება სამეცნიერო საბჭოს კომპეტენციას წარმოადგენდა⁴².

სამეცნიერო საბჭოს მიერ დამტკიცებული სადგურების ტიპური დებულების⁴³ თანახმად, სადგურის საშტატო განრიგი განისაზღვრება ინსტიტუტის დირექტორის ბრძანებით. ამდენად, უფლებამოსილების დელეგირება ეწინააღმდეგება წესდების ნორმებს.

სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული დაფინანსების ხარჯზე განსაზღვრული საშტატო განრიგი ყველა წელს დამტკიცებულია ინსტიტუტის დირექტორის მიერ, სამინისტროსთან და სამეცნიერო საბჭოსთან შეუთანხმებლად.

2006 წელს საშტატო განრიგი არ დამტკიცებულა კახეთის საცდელ სადგურში. ამავე სადგურის 2007-2008 წლების საშტატო განრიგში დაფიქსირებულია მთავარი აგრონომის (ხელმძღვანელის მოადგილის) საშტატო ერთეული, რაც ეწინააღმდეგება ინსტიტუტის წესდებას და საშტატო განრიგს, სადაც ასეთი თანამდებობა (სადგურის ხელმძღვანელის მოადგილე) არ არის გათვალისწინებული.

ინსტიტუტის სტრუქტურული ერთეულების აღნიშნული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებით საქმიანობა გულისხმობს იმას, რომ ისინი თვითნებურად ახორციელებდნენ ორგანიზაციულ და ფინანსურ მართვას. მათ გააჩნდათ ცალკე საბანკო ანგარიშები⁴⁴, საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგავდნენ ინსტიტუტის შემოსავლებს და ახორციელებდნენ ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას.

ინსტიტუტის წესდებისა⁴⁵ და საცდელი სადგურების ტიპური დებულების⁴⁶ თანახმად, ყველა შემოსავალი და ხარჯი უნდა ასახულიყო ინსტიტუტის ბიუჯეტში. თანხის სადგურებისათვის გამოყოფის გადაწყვეტილება უნდა მიეღო ინსტიტუტის

⁴⁰ კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“ მუხლი 2, პუნქტი 4. ინსტიტუტის წესდება მუხლი 9, პუნქტი 2. ქვეპუნქტი „ტ“; მუხლი 12. პუნქტი 2.
⁴¹ მუხლი 3, პუნქტი 2. ქვეპუნქტი „ი“
⁴² ინსტიტუტის წესდება მუხლი 4, პუნქტი 2. ქვეპუნქტები „ვ“ და „ზ“;
⁴³ დებულება მუხლი 7.
⁴⁴ ხელმოწერისა და ბეჭდის ტვიფრის ბარათში დაფიქსირებულია „სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ი. ლომოურის მიწათმოქმედების ინსტიტუტის კახეთის საცდელი სადგური“.
⁴⁵ მუხლი 18, პუნქტი 2
⁴⁶ მუხლი 6, პუნქტი 2, პუნქტი 6.

ხელმძღვანელობას⁴⁷. ამის ნაცვლად, სადგურები საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგავდნენ მიღებულ თანხებს. ინსტიტუტს ფინანსური მართვის არასწორი სისტემის აღმოსაფხვრელად სათანადო ღონისძიებები არ განუხორციელებია.

აღნიშნული მდგომარეობა წარმოადგენდა ინსტიტუტის კუთვნილი რესურსების არადანიშნულებით ხარჯვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხელშემწყობ ფაქტორს.

ინსტიტუტის წესდების⁴⁸ თანახმად, მასზე სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, რომელიც ზედამხედველობას უწევს ინსტიტუტის საქმიანობის კანონიერებას, მიზანშეწონილობას, ეფექტიანობასა და საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობას. ინსტიტუტის წლიურ ბალანსს ამოწმებს სამინისტროს მიერ დანიშნული დამოუკიდებელი აუდიტორი. 2006-2009 წლებში სამინისტროს მასზე დაკისრებული ფუნქცია არ შეუსრულებია. მაგალითად, 2008 წელს ინსტიტუტის დაკვეთით აუდიტი ჩატარა შპს „კომპაუდიტმა“. აუდიტის შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე ინსტიტუტის მიერ სამინისტროსადმი გაგზავნილ ინფორმაციას⁴⁹ რეაგირება არ მოჰყოლია.

2.2. სახელმწიფო ქონების განკარგვა

2.2.1. სახელმწიფო ქონებით სარგებლობის სამართლებრივი საფუძველი

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში მყოფ ინსტიტუტსა და მის საცდელ სადგურებს მიწის ფართობი სარგებლობაში გადაცემული ჰქონდათ უზუფრუქტის ფორმით. უზუფრუქტი გაუქმდა საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 8 აგვისტოს N472 ბრძანებულებით.

ინსტიტუტს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმით დაფუძნების შედეგად არ გადაეცა მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო უძრავი ქონება, როგორც ეს კანონმდებლობით არის განსაზღვრული.⁵⁰ ამდენად, 4000 ჰა-მდე მიწის ფართობი იმყოფებოდა ინსტიტუტის ფაქტობრივ მფლობელობაში და მასზე სამართლებრივი უფლებები ინსტიტუტს არ წარმოშობია. ასევე, არ შესრულებულა საქართველოს მთავრობის N58 დადგენილების⁵¹ მოთხოვნა, რომლის თანახმად, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2 თვეში უნდა შეემუშავებინა დაწესებულებების სამეცნიერო საქმიანობის განხორციელებისათვის ხელსაყრელ თანამედროვე გარემოში განთავსების მექანიზმები.

აქედან გამომდინარე, ინსტიტუტი და მისი საცდელი სადგურები მიწის ფართობებზე შესაბამის სამეცნიერო და სამეურნეო საქმიანობას ეწეოდნენ სამართლებრივი საფუძვლის გარეშე. გარდა ამისა, მათ არ ჰქონდათ ქონების

⁴⁷ საცდელი სადგურების დებულება. მუხლი 3. პუნქტი 2, ქვეპუნქტი „მ“. მუხლი 6. პუნქტი 5.

⁴⁸ მუხლი 16; მუხლი 19;

⁴⁹ ინსტიტუტის წერილი N01-04/51. 23.09.08

⁵⁰ კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ მუხლი 7. პუნქტი 1.

⁵¹ პუნქტი 4.

გაქირავების ან იჯარით გაცემის უფლებამოსილება. შესაბამისად, ვალდებულნი იყვნენ შეეწყვიტათ მასთან დაკავშირებული ყოველგვარი სახელშეკრულებო ურთიერთობები, რაც არ განხორციელებულა.

უზუფრუქტის მოქმედების პერიოდში ქონების გაქირავების ან იჯარით გაცემისათვის საჭირო იყო მესაკუთრის თანხმობა⁵², რაც ინსტიტუტს არ გააჩნია. მაგალითად, სათბურის იჯარით გასაცემად გაფორმებული ხელშეკრულების (01.04.98) შეწყვეტის ნაცვლად, ინსტიტუტმა შ.პ.ს. „კოკორს“ 2006-2009 წლებში დაარიცხა 3,9 ათასი და მიიღო 3,6 ათასი ლარი. ანალოგიური მდგომარეობაა შპს „მცხეთის ქალაქთან“ მიმართებაშიც, რომლის მიხედვით 01.07.04 წლის ხელშეკრულებით გაცემული იყო 456კვ.მ. ნაგებობა. მასზე დარიცხულია 3,0 ათასი, ხოლო მიღებულია 2,1 ათასი ლარი.

გორისა და კახეთის საცდელმა სადგურებმა ქირავნობის ხელშეკრულებით სარგებლობის უფლება გასცეს სახნავ და საძოვარ ფართობებზე, შესაბამისად, იღებდნენ შემოსავალს. წარმოდგენილი ცნობის თანახმად, 2006-2008 წლებში, გორის სადგურმა სახნავი მიწის ფართობების ქირით გაცემიდან მიიღო 17,4 ათასი ლარი.

2007-2009 წლებში კახეთის სადგურმა 275 ჰექტარი საძოვრისა და საქონლის სადგომების გაქირავების შედეგად მიიღო 3,6 ათასი ლარი, რაც წელიწადში 1 ჰექტარზე 5 ლარს შეადგენს.

ხელშეკრულების თანახმად, აღნიშნული მიწის ფართობი სარგებლობის უფლებით გადაეცა კახეთის სადგურის დირექტორის მოადგილეს, გ. ბოლდაშვილს. გარდა ამისა, 2007 წლის 28 ივნისისა და 2008 წლის 1 ივლისის ხელშეკრულებებით იმავე გ.ბოლდაშვილისაგან სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად დაიქირავა ტრაქტორი, რისთვისაც მას აუნაზღაურა 18,3 ათასი ლარი.

„საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადგურის დირექტორის მოადგილის ქმედება წარმოადგენს ინტერესთა შეუთავსებლობას საჯარო სამსახურში, რაც გულისხმობს მისი პირადი ქონებრივი ინტერესების დაპირისპირებას სამსახურის ინტერესებთან.⁵³

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსამსახურეს ეკრძალება ქონებრივი გარიგების დადება იმ დაწესებულებასთან, სადაც საქმიანობს.

ინტერესთა კონფლიქტის გარდა, არსებითი მნიშვნელობა აქვს სახელშეკრულებო ფასს, რომელიც იმთავითვე მორგებულია დაინტერესებული პირის, გ. ბოლდაშვილის პირად ქონებრივ ინტერესებზე. იჯარისა თუ ტრაქტორის ქირავნობის ხელშეკრულების ფასის საბაზრო ფასებთან შესაბამისობა არ არის უზრუნველყოფილი. შეუსაბამობის მთავარ საფუძველს წარმოადგენს ის გაუმჭირვალე გარემო, რომელშიც გაფორმდა სამოქალაქო ხელშეკრულება, როდესაც გამოირიცხა კონკურენცია და ბაზარზე მოქმედ სუბიექტებს არ მიეცათ შესაძლებლობა, წარმოედგინათ კონკურენტუნარიანი პირობები.

⁵² საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მუხლი 242;

⁵³ „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის 2² მუხლის პირველი პუნქტის ბ.ბ., ბ.გ. და ბ.დ. ქვეპუნქტები განსაზღვრავს დაწესებულების სახელმწიფო დაწესებულებასთან გათანაბრების კრიტერიუმებს.

ქირავნობისა და იჯარის ხელშეკრულებების საფუძველზე მიღებული თანხა, ჯამში 26,7 ათასი ლარი, არსებული კანონმდებლობის თანახმად, ინსტიტუტისა და სადგურების ანგარიშების ნაცვლად, უნდა მიმართულიყო სახელმწიფო ბიუჯეტში⁵⁴.

2.2.2. მატერიალური ფასეულობების ჩამოწერა

2006⁵⁵ და 2008 წლებში, მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით, კახეთის საცდელმა სადგურმა ჩამოწერა 48 დასახელების ძირითადი საშუალება, 50,3 ათასი ლარის პირვანდელი და 8,4 ათასი ლარის ნარჩენი ღირებულებით. მათ შორის, სამი ტრაქტორი, ერთი კომბაინი, ასევე სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღები. ძირითადი საშუალებების ჩამოწერის მიზნით ინსტიტუტის ხელმძღვანელ პირს ბრძანებით უნდა შეექმნა საინვენტარიზაციო კომისია საქართველოს ეკონომიკური განვითარების და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროების წარმომადგენლების მონაწილეობით. აღნიშნული წესი ინსტიტუტს არ დაუცვია.

2006 წელს ჩამოწერილი მატერიალური ფასეულობებიდან, დამოუკიდებელი აუდიტის მიერ დამტკიცებული და სათანადოდ გაფორმებული აქტების გარეშე, მიღებულად ნაჩვენებია 5,7 ტონა ჯართი, რომელიც შემოსავალში აღრიცხულია 0,7 ათას ლარად, 1 ტონა 130 ლარად. კახეთის სადგურის 2007 წლის 6 ივლისის შემოსავლის ორდერით სალაროში მიღებულად ნაჩვენებია რეალიზებული ჯართის ღირებულება 1,2 ათასი ლარის ოდენობით. მაშინ როდესაც ჯართის რეალიზაცია უნდა განხორციელებულიყო საკონკურსო საწყისებზე ინსტიტუტის და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ერთობლივი კომისიის მიერ⁵⁶. თუმცა, აღნიშნული პროცედურა არ ჩატარებულა. რაც შეეხება 2008 წელს ფასეულობათა ჩამოწერის შედეგად მიღებული ჯართის რაოდენობას, მის შესახებ აუდიტის ჯგუფს ინფორმაცია ვერ წარედგინა.

2.2.3. მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაცია

ინსტიტუტის დირექტორის 2010 წლის 12 მარტის N04.08-04 ბრძანებით შეიქმნა საინვენტარიზაციო კომისია ბალანსზე რიცხული მატერიალური ფასეულობების მდგომარეობის, მათი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების დასადგენად. საინვენტარიზაციო კომისიები შეიქმნა ასევე სტრუქტურულ ერთეულებში მათი ხელმძღვანელების თავმჯდომარეობით, სადაც მივლინებულნი იყვნენ ინსტიტუტის ცენტრალური აპარატის თანამშრომლები.

ინვენტარიზაცია დაიწყო მიმდინარე წლის 13 მარტს და დასრულდა 6 მაისს. მასალები არ წარმოუდგენია ახალქალაქის სადგურს.

⁵⁴ საქართველოს კანონი N937 „საგადასახადო, არასაგადასახადო და კაპიტალური შემოსავლების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ“ დანართი 1. N2.18. იგივე კანონი N5663. 28.12.2007. დანართი. პუნქტი 11.

⁵⁵ საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის ბრძანება N1-3/77. 12.02.2001. პუნქტი 4; საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება N1-1/3. 06.01.2005. პუნქტი 2;

⁵⁶ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება N1-1/667. 26.04.2007. მ. 1.3. 6.

უშუალოდ ინსტიტუტში ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინდა სხვადასხვა დასახელების 13,4 ათასი ლარის ქონების დანაკლისი და 2406 ერთეული ბუღალტრულად აღურიცხავი (ზედმეტი) მატერიალური ფასეულობა. მათ შორის, 244 ერთეულის ღირებულება დადგენილია და შეადგენს 0,6 ათას ლარს, ხოლო 2162 ერთეულის ღირებულება კომისიის მიერ ვერ დადგინდა.

აქვე აღსანიშნავია, რომ ინსტიტუტის მინდვრის კულტურების აგროტექნოლოგიის განყოფილებაში აუდიტორთა ჯგუფის თანდასწრებით ჩატარებული აღწერისას აღმოჩნდა ხის სოკოს თესლის დასამზადებელი, აღურიცხავი ინვენტარი და მასალები, რის შესახებ ინსტიტუტის ბუღალტერიაში ხარჯის ან შემოსავლის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი არ არსებობდა.

კახეთის სადგურის მიერ ერთი თვის დაგვიანებით წარმოდგენილი არასრულყოფილი მასალები განმეორებით წარმოდგენილ იქნა 27 აპრილს, ხოლო მისი დაზუსტებული ვარიანტი კი - 6 მაისს. აღსანიშნავია, რომ 27 აპრილს წარმოდგენილი მასალით მატერიალურ ფასეულობათა ღირებულებამ ფაქტობრივად შეადგინა 1016,2 ათასი ლარი, ხოლო 6 მაისს წარმოდგენილით - 937,7 ათასი ლარი. 27 აპრილის საინვენტარო აღწერილობის აქტებში ფიქსირდება 5,3 ათასი ლარის დანაკლისი, ხოლო საინვენტარიზაციო კომისიის დასკვნაში ნაჩვენებ 21,7 ათასი ლარის ტექნიკასა და ინვენტარზე არ არის აღწერის შესაბამისი აქტი. 6 მაისის საინვენტარიზაციო აღწერილობაში ზემოხსენებული შეუსაბამოებები აღარ ფიქსირდება.

კახეთის სადგურს საინვენტარიზაციო მასალაში ბუღალტრულად არ ერიცხება ხორბლის, შვრიისა და მზესუმზირის ნაშთები (თესლი და სასაქონლო). თუმცა, წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, 2010 წლის 1 აპრილისათვის ნაშთად დაფიქსირებულია ხორბალი (თესლი და სასაქონლო) - 4649 ცენტნერი ღირებულებით 156,6 ათასი ლარი, შვრია - 1580 ცენტნერი ღირებულებით 68,2 ათასი ლარი, მზესუმზირა - 1730 ცენტნერი ღირებულებით 297,5 ათასი ლარი.

კახეთის საცდელი სადგურის მიერ წარმოდგენილი ინვენტარიზაციის მასალები შედგენილია არაკვალიფიციურად, არასრულყოფილად, ატარებს ფორმალურ ხასიათს და ნაკლებად სარწმუნოა. დიდი ნაშთებისა და ტექნიკის უქონლობის გამო ინვენტარიზაცია ვერ ჩატარა თელავის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) საგადასახადო აუდიტის სამმართველომ, რის თაობაზე აღნიშნულია მათ მიერ შედგენილ 2008 წლის 3 მარტის აქტში.

იმის მიუხედავად, რომ ინსტიტუტის მიერ ყოველწლიურად გამოიცემოდა ბრძანებები ინვენტარიზაციის ჩატარების თაობაზე, ინსტიტუტსა და მის სადგურებში იგი სრულყოფილად არ ჩატარებულა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკითხი საჭიროებს დეტალურ შესწავლას შესაბამისი ორგანოების მიერ.

2.3. ფინანსური ანგარიშგება და ბუღალტრული აღრიცხვა

2.3.1. ბიუჯეტთან ანგარიშსწორება

2007 წლიდან ინსტიტუტს ევალებოდა დეკლარაციების ცენტრალიზებულად წარდგენა საგადასახადო სამსახურში და ბიუჯეტთან ანგარიშსწორება, რაც განხორციელდა დაგვიანებით 2009 წლის თებერვალში და მხოლოდ სამ საცდელ სადგურთან მიმართებაში (კახეთი, გარდაბანი, სართიჭალა).

ინსტიტუტს 2006–2009⁵⁷ წლებში არ წარუდგენია უშუალოდ მის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ქონების დეკლარაციები. მოგების ნაერთი დეკლარაცია წარდგენილია მხოლოდ 2009 წლისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საგადასახადო სამსახურისათვის არ არის მიწოდებული სადგურების 2008 წლის მოგების და 2009 წლის ქონების (მათ შორის მიწის) დეკლარაციები, მაშინ როდესაც, ინსტიტუტის ცნობის თანახმად, მხოლოდ მიწის გადასახადით 2009 წელს კახეთის საცდელი სადგური უნდა დაბეგრულიყო 1472,6 ჰა სახნავ-სათეს ფართობზე და 659 ჰა სამოვარზე, ხოლო გარდაბნის და სართიჭალის სადგურები კი შესაბამისად - 20,5 და 48 ჰა მიწის ფართობზე.

შესაბამისად, დეკლარაციის წარუდგენლობისა და ბიუჯეტის კუთვნილი თანხების გადაუხდელობისათვის საგადასახადო კოდექსის 131-ე მუხლის პირველი ნაწილის, 272-ე მუხლის მე-6 ნაწილისა და 273-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამატებით დარიცხვას დაექვემდებარებოდა მიწაზე ქონების გადასახადის სახით სულ 73,5 ათასი ლარი. მათ შორის, ძირითადი თანხა 45,9 ათასი ლარი და დეკლარაციის წარუდგენლობისათვის ჯარიმა 27,6 ათასი ლარი.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 131-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 171-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, მოგების გადასახადის სახით ინსტიტუტს დაერიცხებოდა 107,0 ათასი ლარი. მათ შორის, ძირითადი თანხა - 66,9 ათასი ლარი, ხოლო დეკლარაციის წარუდგენლობისათვის ჯარიმა 40,1 ათასი ლარი.

ინსტიტუტის მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარდგენილი ნაერთი ბალანსის დანართებში კახეთის საცდელი სადგურის 2006–2007 წლებში რეალიზებული პროდუქციის შედეგად მიღებული მოგება არ ედრება ამავე სადგურის მიერ საგადასახადო ინსპექციაში დეკლარირებულ დასაბეგრი მოგების ოდენობას. ნაერთ ბალანსში ნაჩვენებია 521,9 ათასი ლარის⁵⁸, აუდიტის ჯგუფისათვის მოწოდებულ ცნობაში - 426,2 ათას ლარის, ხოლო საგადასახადო სამსახურში - 106,4 ათას ლარის დასაბეგრი მოგება.

მოგების გადასახადის დეკლარაციაში „ერთობლივი შემოსავლების გამოქვითვის მუხლში“ შეძენილად ნაჩვენებია 789,0 ათასი ლარის საქონელი, მასალები და ნედლეული. წარმოდგენილი მონაცემებით, 2006 წელს შეძენილი ნედლეულის, მასალების და საქონლის საერთო თანხამ 430,6 ათასი ლარი შეადგინა, ანუ სხვაობა 358,4 ათასი ლარია.

2006 წლის დეკლარაციაში სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ნაშთებში ასახული არ არის „დაუმთავრებელი წარმოების (მომავალი პერიოდის ხარჯი)“ საწყისი და საბოლოო ნაშთები, შესაბამისად 281,3 ათასი და 290,1 ათასი ლარი.

⁵⁷ საგადასახადო სამსახურში არ წარდგენილა 2010 წლის ქონების დეკლარაცია.

⁵⁸ 2006 წელს რეალიზებული პროდუქციის ამონაგებიდან მიღებული მოგება.

აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო სათანადო დოკუმენტური ინფორმაცია დეკლარაციაში დაფიქსირებული სხვა გამოქვითვების შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულით გაზრდილია კახეთის საცდელი სადგურის გამოქვითვები და შემცირებულია 2006 წლის დასაბეგრი მოგება. შესაბამისად, საგადასახადო კოდექსის 132-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 171-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სადგურს მოგების გადასახადი სახით დაერიცხებოდა სულ 110,1 ათასი ლარი, მათ შორის, ძირითადი 73,4 ათასი ლარი, და საგადასახადო დეკლარაციაში/გაანგარიშებაში გადასახადის თანხის 50 პროცენტით ან მეტი ოდენობით შემცირებისათვის ჯარიმა 36,7 ათასი ლარი.

2.3.2. დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები

2008 წლის მარტში ინსტიტუტმა სათანადო საფუძვლის გარეშე ჩამოწერა სხვადასხვა ორგანიზაციებზე რიცხული 55,1 ათასი ლარის დებიტორული და 26,7 ათასი ლარის კრედიტორული დავალიანება.

ინსტიტუტმა არასრულყოფილად ასახა დებიტორული დავალიანება კარტოფილის მწარმოებელ ფერმერებთან⁵⁹ დაკავშირებით. 2006-2007 წლებში წარმოშობილი 485,8 ათასი ლარის დებიტორული დავალიანებიდან 2007-2008 წლებში დაფარულია 18,0 ათასი ლარი. ინსტიტუტმა 2008 წელს, 467,8 ათასი ლარის ნაცვლად დებიტორულ დავალიანებად დააფიქსირა 381,9 ათასი ლარი. 2009 წელს დაფარულია 39,8 ათასი ლარი. 428,0 ათასი ლარის ნაცვლად დებიტორულ დავალიანებად ფიქსირდება 342,1 ათასი ლარი. შესაბამისად, საბალანსო დებიტორულ დავალიანებაში 2008 და 2009 წლებში არ ასახულა 85,9 ათასი ლარი.

ინსტიტუტის სალაროდან ანგარიშვალდებულ პირებზე თანხის გაცემისას არ იყო მითითებული თანხის გამოყენების ვადა, ხოლო გამოუყენებელი ფულის სალაროში დაბრუნების ნაცვლად მათზე ხელახლა გაიცემოდა საავანსო თანხები. შედეგად, 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ანგარიშვალდებულ პირებზე ირიცხება 6,2 ათასი ლარის დებიტორული დავალიანება.

2008 წლის 10 მაისს შედგენილი აქტით, კახეთის სადგურმა ზარალის ანგარიშზე უსაფუძვლოდ ჩამოწერა 54,6 ათასი ლარის დებიტორული დავალიანება.

შესაბამისად, შემცირებულია 2008 წლის დასაბეგრი მოგება⁶⁰. საგადასახადო კოდექსის 131-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 171-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, ინსტიტუტს მოგების გადასახადის სახით დაერიცხებოდა 40,5 ათასი ლარი, მათ შორის, ძირითადი ნაწილი 25,3 ათასი და დეკლარაციის წარუდგენლობისათვის ჯარიმა⁶¹ - 15,2 ათასი ლარი.

⁵⁹ აღნიშნული საკითხი შესწავლილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის სპეციალურ გამოკვლევათა და ფინანსური ექსპერტიზის დეპარტამენტის მიერ (2008 წლის 13 ივნისის აქტი), რის საფუძველზეც აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილია განაჩენი. ამ საკითხთან ასევე დაკავშირებულია საქართველოს კონტროლის პალატის (2006 წლის 23 ივნისის №264/47) აქტი.

⁶⁰ ინსტიტუტის მიერ $85,9 + 55,1 - 26,7 = 114,3$, კახეთის საცდელი სადგურის მიერ $54,6 = 168,9$ ათასი ლარი;

⁶¹ რამდენადაც დეკლარაციის წარუდგენლობის პირობებში, სუბიექტი ვერ დაჯარიმდება საგადასახადო დეკლარაციაში/გაანგარიშებაში გადასახადის შემცირების საბაზით, რამდენადაც პირველი მათგანი შთანთქმავს მეორე ქმედებას.

წარმოდგენილი ცხრილი ადასტურებს, რომ სადგურს დებიტორული დავალიანების დასაფარად ღონისძიებები არ გაუტარებია, რადგან 2010 წლის 1 იანვრისათვის მას ერიცხება გასულ წლებში წარმოშობილი დავალიანებები 168,7 ათასი ლარი:

თანხები მოცემულია ათას ლარებში

2004		2005		2006		2007		2008		2009		სულ	
რ- ბა	თანხა	რ- ბა	თანხა	რ- ბა	თანხა	რ- ბა	თანხა	რ- ბა	თანხა	რ- ბა	თანხა	რ- ბა	თანხა
6	6.7	3	2.3	6	43.4	4	16.8	17	46.7	39	52.8	75	168.7

2006 წელს ფიზიკურმა პირმა გივი მირანაშვილმა შეისყიდა 11,8 ათასი ლარის ღირებულების 47090 კგ ყურძენი, რომელიც რეალიზაციაში აისახა მხოლოდ 2007 წლის მარტის თვეში, 5 თვის დაგვიანებით. აღნიშნულ პიროვნებას თანხა აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში გადახდილი არ აქვს.

სადგურმა ვერ წარმოადგინა ბადიურის (3,8 ათასი ლარის ღირებულების 15640 კგ) და გურჯაანის (5,3 ათასი ლარის ღირებულების 18870 კგ) ღვინის ქარხნებისთვის ჩაბარებული ყურძნის რაოდენობისა და თანხის გადახდის სათანადო წესით დამოწმებული დოკუმენტაცია. 2006 წლის ყურძნის მოსავლის აღების აქტში, ღვინის ქარხნებისათვის, ყოველგვარი დოკუმენტაციისა და ბუღალტრული გატარების გარეშე ჩაბარებულად ნაჩვენებია 68505 კგ ყურძენი (მათ შორის, გურჯაანის ღვინის ქარხნისათვის 53450 კგ).

2.3.3. ბუღალტრული აღრიცხვა

კახეთის სადგურში ბუღალტრული აღრიცხვა არსებული ინსტრუქციების⁶² დარღვევით წარმოებდა. მოუწესრიგებელია სინთეზური და ანალიზური აღრიცხვა, კერძოდ, სადგურმა ვერ წარმოადგინა ცალკეული ანგარიშვალდებული პირების და სხვადასხვა დებიტორ-კრედიტორების პირადი აღრიცხვის ანალიზური ბარათები.

კახეთის სადგური საწვავის და სხვა მატერიალური ფასეულობების შესყიდვას უმეტეს შემთხვევებში აწარმოებდა ანგარიშვალდებული პირების მეშვეობით ნაღდი ანგარიშსწორებით, კონსიგნაციით. ხშირ შემთხვევაში წარმოდგენილი არ არის ანგარიშვალდებული პირების მიერ თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. ვერ იქნა წარმოდგენილი საწვავის მომწოდებლებთან შედარების აქტები.

საგადასახადო ინსპექციის მიერ არაერთგზის მიღებული ზომების (დაჯარიმება) მიუხედავად, სადგური მომხმარებლებთან ანგარიშსწორებისას არ იყენებს სალარო-საკასო აპარატს. ანალოგიური მდგომარეობაა უშუალოდ ინსტიტუტთან მიმართებაშიც.

სალაროში ლიმიტის არ არსებობის გამო, ადგილი ჰქონდა დიდი ოდენობით ნაღდი ფულის შენახვის ფაქტებს. საგადასახადო ინსპექციის მიერ დადებული (მიმდინარე, მიზნობრივი) ყადაღის მოქმედების პერიოდშიც კი (21.10.09 – 29.12.09)

⁶² საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებები N1278 და N1321 „საბიუჯეტო ორგანიზაციების და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“.

კახეთის სადგურს არ შეუტანია ინსტიტუტისა და თავის მიზნობრივ ანგარიშზე სალაროში შემოსული თანხები, ნაშთის გათვალისწინებით 143,4 ათასი ლარი. აღნიშნული თანხიდან საცდელმა სადგურმა საკუთარი შეხედულებით გახარჯა 56,1 ათასი ლარი.

სადგურს 2009 წლის 26 ივნისის სალაროს N100 გასავლის უწყისით გაცემულად ნაჩვენები 7493,44 ლარიდან არ დასტურდება 266,15 ლარის ხელფასების მიღება ბრიგადის მიერ, რადგან უწყისი ხელმოწერილი არ არის. იმავე ბრიგადის მაისის და დეკემბრის ხელფასის უწყისებზე (საერთო თანხით 589 ლარი), დაფიქსირებული ხელმოწერები ამკარად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

2.4. სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობა კანონმდებლობასთან

ინსტიტუტისა და მისი საცდელი სადგურების მიერ 2006–2009 წლებში შესყიდულია 2574,3 ათასი ლარის საქონელი და მომსახურება. შესყიდვები განხორციელებულია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დარღვევით. მათ შორის, კახეთის საცდელი სადგურის მიერ განხორციელებული 1902,5 ათასი ლარის შესყიდვიდან, რომელიც მთლიანი შესყიდვების 73,9%-ს შეადგენს, დაახლოებით 165,0 ათასი ლარის მატერიალური ფასეულობანი შესყიდულია არასათანადო, არასრულყოფილი, ხოლო რიგ შემთხვევაში დოკუმენტების გარეშე.

(ათას ლარში)

სტრუქტურული ერთეული	საწვავი				სასუქები და შამ-ქიმიკატები	კომპუნალური	ძირითედი საშუალებები	საკანცელარიო მცირეფასიანი	სათადარიდო ნაწილები	მომსახურება	სხვა	სულ
	ბენზინი	დირზელი	ზეთი	აირი								
ინსტიტუტი	39	54.3	1.4	1.9	32.4	59.2	2.1	4.2	-	5	43.3	242.8
სენაკი	-	6.7	-	-	0.6	-	-	-	-	-	-	7.3
სართიჭალა	18.3	80.3	4.7	-	75.5	5.5	-	0.9	27.7	-	24.2	237.1
ახალქალაქი	3.7	-	-	-	10.5	0.2	-	-	-	-	0.6	15
წყალტუბო	-	6.3	-	-	2.2	-	-	-	-	-	-	8.5
აჯამეთი	-	7.1	0.3	-	0.4	-	-	-	1	-	0.9	9.7
კახეთი	73.4	1243.9	86.5	13	144.3	28.5	31.7	7.4	218.5	24.5	30.7	1902.5
გარდაბანი	22.4	56.9	3.9	-	23.8	-	-	0.4	6.5	-	20.1	134
გორი	2.6	6.3	-	-	8.5	-	-	-	-	-	-	17.4
სულ	159.4	1461.8	96.8	15	298.2	93.4	33.8	12.9	253.7	29.5	119.8	2574.3

2.5. წინა პერიოდის შემოწმების შედეგად გამოვლენილ დარღვევა-ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად გაწეული საქმიანობა

ინსტიტუტის წინა პერიოდის საქმიანობის შემოწმების შედეგები, დარღვევა-ნაკლოვანებები და რეკომენდაციები წარმოდგენილია საქართველოს კონტროლის

პალატის 2003 წლის 6 სექტემბრის რევიზიის აქტს⁶³ და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის სპეციალურ გამოკვლევათა და ფინანსური ექსპერტიზის დეპარტამენტის 2008 წლის 13 ივნისის აქტში.

აქტში მოცემული ნაკლოვანებების მნიშვნელოვანი ნაწილი არ აღმოფხვრილა:

ა. ინსტიტუტს დებიტორულ დავალიანებაში არ აქვს ასახული 85,9 ათასი ლარი;

ბ. კახეთის საცდელი სადგურის მიერ არ არის გათვალისწინებული საქართველოს კონტროლის პალატის 2003 წლის 6 სექტემბრის აქტში მითითებული დარღვევები მეცხოველეობის ზარალიანობასთან დაკავშირებით, სახელმწიფო ქონება ჩამოწერილია სათანადო ნებართვის გარეშე, ანგარიშვალდებულ პირებზე თანხა გაცემულია ძველი დავალიანების დაბრუნების გარეშე და სხვ.

3. დასკვნა

აუდიტის პროცესში განხორციელებული კვლევის საფუძველზე, აუდიტის ჯგუფმა ჩამოაყალიბა ინსტიტუტის სამეცნიერო და სამეურნეო საქმიანობის, ასევე მისი მართვის არსებითი ნაკლოვანებები.

ინსტიტუტის სამეცნიერო და სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებით აღსანიშნავია შემდეგი გარემოებები:

ა. ინსტიტუტი მის მფლობელობაში არსებული 4000 ჰა-მდე მიწის ფართობიდან სამეცნიერო საქმიანობისათვის იყენებდა არაუმეტეს 27%-ს. უშუალოდ კახეთის საცდელი სადგური, რომელიც ფლობდა 3000 ჰა-მდე მიწის ფართობს, ამავე მიზნით იყენებდა მხოლოდ 15-19%-ს;

ბ. იმ პირობებში, როდესაც კახეთის საცდელი სადგური მიწის ფართობის 80-85 პროცენტს არასამეცნიერო მიზნით იყენებდა, მარცვლოვან კულტურებთან დაკავშირებულ სამეურნეო საქმიანობაზე გაწეულია დაახლოებით 2664,8 ათასი ლარის ხარჯი, რომელიც სამეცნიერო საქმიანობისათვის არ გამოყენებულა;

გ. ძირითადი კულტურების მიხედვით მიღებული მოსავლიანობის შეფარდება მისაღებ მოსავლიანობასთან 62 %-ს შეადგენს;

დ. კახეთის საცდელი სადგურის მიერ მიღებულად ნაჩვენები და მისაღები მარცვლეული კულტურების რაოდენობებს შორის სხვაობის (ნაკლებობის) მიახლოებითი საბაზრო ღირებულება სათესლე მასალის შემთხვევაში შეადგენს **3 524,7 ათას ლარს**, ხოლო სამეურნეო მარცვლის შემთხვევაში - **2 733.9 ათას ლარს**;

ე. კახეთის საცდელი სადგურის მიერ მარცვლოვანი კულტურების რეალიზაციით ფაქტობრივად მიღებული ამონაგები დაახლოებით 707,9 ათასი ლარით ნაკლებია მინიმალური საბაზრო ფასების მიხედვით მისაღებ ამონაგებთან შედარებით;

ვ. კახეთის საცდელი სადგურის მიერ მიღებულად ნაჩვენები და მისაღები ყურძნის მოსავლის რაოდენობებს შორის სხვაობის (ნაკლებობის) მიახლოებითი საბაზრო ღირებულება შეადგენს 77,7 ათას ლარს;

⁶³ „საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ი.წ. ლომოურის სახელობის ინსტიტუტის კახეთის საცდელი სადგურის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შესახებ“;

ზ. მევენახეობიდან მიღებული ამონაგები 38,6 ათასი ლარით ნაკლებია მინიმალური საბაზრო ფასების მიხედვით მისაღებ ამონაგებთან შედარებით;

თ. მევენახეობა და მეცხოველეობა, რომელიც არაა დაკავშირებული სამეცნიერო საქმიანობასთან, წლების მიხედვით იგეგმება ზარალით. ამ მიმართულებით გაწეულია 265.0 ათასი ლარის პირდაპირი ხარჯი, ხოლო ფაქტობრივი ზარალი შეადგენს 168,8 ათას ლარს;

ი. ობიექტის მიერ მიღებულად ნაჩვენები და აუდიტის ჯგუფის მიერ გამოკვლეული ნორმების მიხედვით მისაღები მოსავლის საბაზრო ღირებულებით რეალიზაციის შემთხვევაში, მოსალოდნელი ფინანსური შედეგების მიხედვით, 2006-2009 წლებში სახელმწიფო მოგების გადასახადის სახით დამატებით მიიღებდა არანაკლებ 629,4 ათას ლარს⁶⁴;

თ. ყოველწლიურად სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული რამდენიმე ასეულ ჰა მიწის ფართობს (საშუალოდ 250 ჰა) ინსტიტუტი ფლობს უსარგებლოდ, რომლებიც არ გამოიყენება არც სამეცნიერო და არც სამეურნეო საქმიანობაში.

ინსტიტუტის სამეცნიერო და სამეურნეო საქმიანობის ანალიზი ცხადყოფს, რომ სახელმწიფო ქონება რამდენიმე ასეული ჰა მიწის ფართობის სახით გამოიყენება სამეურნეო მიზნებისათვის. ინსტიტუტისა და საცდელი სადგურების ხელმძღვანელთა ჯგუფი, ფაქტიურად, მეცნიერების სახელისა და მიზნების მიღმა ეწევა სამეწარმეო საქმიანობას, რაც არ შეესაბამება მის სამეცნიერო მიზნებს. მიწათმოქმედების ინსტიტუტის მიერ არსებული მოცულობით მიწის ფართობით სარგებლობა გაუმართლებელია.

საქართველოს მთავრობის 2007 წლის 27 ივლისის N378 განკარგულების⁶⁵ საფუძველზე შეიქმნა სამთავრობო კომისია, რომელსაც 2007 წლის დეკემბრისთვის უნდა უზრუნველყო საჯარო სამართლის იურიდიული პირების – უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისათვის გადასაცემი სახელმწიფო უძრავი ქონების ნორმატივების დაზუსტება.

აღნიშნული ნორმატივების საფუძველზე შესაძლებელი იქნებოდა იმ აუცილებელი ქონების (მიწა, შენობა-ნაგებობები და სხვა აქტივები) ოდენობის განსაზღვრა, რაც საჭიროა ინსტიტუტის ამოცანების განსახორციელებლად.

სამთავრობო კომისიამ 2-ჯერ, ჯამში 9 თვით, 2008 წლის აპრილამდე გადაავადა ნორმატივების განსაზღვრა. თუმცა, კომისიას მისი ფუნქცია დღემდე არ შეუსრულებია. აღნიშნული წარმოადგენს ერთ-ერთ უშუალო მიზეზს, რომ ინსტიტუტი მნიშვნელოვან სახელმწიფო ქონებას იყენებს არამიზნობრივად. კომისიის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, სახელმწიფო გაცილებით მეტს სარგებელს მიიღებდა რამდენიმე ათასი ჰა მიწის ფართობის რაციონალური გამოყენების შედეგად.

⁶⁴ გათვალისწინებულია მხოლოდ მარცვლეული კულტურების სასაქონლო პროდუქტის სახით რეალიზაციის ფასი.

⁶⁵ „უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სექტორის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და დაფინანსების ზრდის სამოქმედო გეგმის შემმუშავებელი სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ“. პუნქტი 2.

აუდიტის შედეგების საფუძველზე, ინსტიტუტის მართვაში გამოვლინდა შემდეგი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები:

ინსტიტუტის საცდელი სადგურები თვითნებურად აწარმოებდნენ ორგანიზაციულ და ფინანსურ მართვას, აფორმებდნენ გარიგებებს და ახორციელებდნენ მასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს. აღნიშნული გარემოება ინსტიტუტის კუთვნილი რესურსების არადანიშნულებით ხარჯვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხელშემწყობ ფაქტორებს წარმოადგენს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, რომელსაც ევალება სახელმწიფო კონტროლის განხორციელება, არ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს. სწორედ სათანადო სახელმწიფო კონტროლი უნდა უზრუნველყოფდეს ინსტიტუტის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერებას, მიზანშეწონილობასა და ეფექტიანობას.

ინსტიტუტის მიერ მნიშვნელოვანი სახელმწიფო ქონებისა და დიდი რაოდენობის სახსრების არარაციონალურად გამოყენება და რესურსების მართვაში გამოვლენილი არსებითი ნაკლოვანებები გამომდინარეობს სამინისტროს მიერ კანონით მასზე დაკისრებული მოვალეობების განუხორციელებლობიდან.

სამინისტროს მიერ შესაბამისი ინფორმაციის დამუშავებისა და რეაგირების პირობებში შესაძლებელი იქნებოდა არსებული ხარვეზების პრევენცია, სახელმწიფო ქონების კანონშესაბამისად გამოყენება და ფინანსური რესურსების მიზნობრივად მიმართვა.

ზემოთ აღნიშნული გარემოებების გამო, სახელმწიფომ ვერ მიიღო დამატებითი სარგებელი:

ა. მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით გაფორმებული ქირავნობისა და იჯარის ხელშეკრულებების საფუძველზე მიღებული თანხა 26,7 ათასი ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტის ნაცვლად, მიმართულია ინსტიტუტისა და მისი საცდელი სადგურების ანგარიშებზე;

ბ. ინსტიტუტის ურთიერთობა საგადასახადო სამსახურთან არასისტემური და მოუწესრიგებელია. საცდელი სადგურები თვითნებურად აწარმოებენ ურთიერთობებს საგადასახადო სამსახურთან, რამაც განაპირობა რიგ შემთხვევებში დეკლარაციების წარუდგენლობა და წარდგენილი დეკლარაციების არსებითი უზუსტობა.

კერძოდ, ინსტიტუტს საგადასახადო სამსახურში წარდგენილი არ აქვს 2006–2009 წლების ქონების (მიწა) და 2006–2008 წლების მოგების გადასახადის დეკლარაციები. საგადასახადო ორგანოებისთვის უცნობია საცდელი სადგურების 2008 წლის დასაბეგრი მოგებისა და 2009 წლის დასაბეგრი ქონების (მიწა) მონაცემები, მაშინ როდესაც 2009 წელს მარტო კახეთის საცდელი სადგური უნდა დაბეგრილიყო 1472,6 ჰა სახნავ-სათეს ფართობზე და 659 ჰა საძოვარზე.

კახეთის საცდელ სადგურს 2006 წლის მოგების გადასახადის დეკლარაციაში, 430,6 ათასი ლარის ნაცვლად, შეძენილად ნაჩვენები აქვს 789,0 ათასი ლარის მასალები, საქონელი და ნედლეული. შესაბამისად, 358,4 ათასი ლარით გაზრდილია 2006 წლის გამოქვითვები და შემცირებულია დასაბეგრი მოგება;

გ. კახეთის სადგურზე 2010 წლის 1 აპრილისათვის არსებული ხორბლის, შვრიისა და მზესუმზირის ნაშთები (7959 ცენტნერი, ღირებულებით 522,6 ათასი ლარი)

საინვენტარო აღწერილობაში არ ფიქსირდება, რაც ქმნის მატერიალურ ფასეულობათა გაფლანგვის რისკს. ასევე, ინსტიტუტში გამოვლინდა სხვადასხვა დასახელების 13,4 ათასი ლარის ქონების დანაკლისი.

დ. ინსტიტუტი არასათანადოდ მართავს დებიტორულ დავალიანებებს. 2008 წელს ინსტიტუტისა და კახეთის საცდელი სადგურის მიერ, სათანადო საფუძვლის გარეშე, მოგება/ზარალის ანგარიშზე ჩამოწერილი 109,7 ათასი ლარის დებიტორული დავალიანება. არ არის გატარებული სათანადო ღონისძიებები წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დასაფარად. ასევე, საბალანსო დებიტორულ დავალიანებაში 2008 და 2009 წლებში არ ასახულა 85,9 ათასი ლარი;

ე. 2006 და 2008 წლებში, მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით, კახეთის საცდელი სადგურის მიერ ჩამოწერილია 48 დასახელების ძირითადი საშუალება;

ვ. კანონმდებლობის დარღვევითაა განხორციელებული 2574,3 ათასი ლარის სახელმწიფო შესყიდვები.

ზ. დეკლარაციის წარუდგენლობისა და გადასახადის შემცირების საფუძველზე სახელმწიფო ბიუჯეტმა ვერ მიიღო შემდეგი ოდენობის თანხები:

- მიწაზე ქონების გადასახადის შემთხვევაში 73,5 ათასი ლარი, მათ შორის, ძირითადი თანხა - 45,9 ათასი ლარი, ჯარიმა 27,6 ათასი ლარი;

- მოგების გადასახადის შემთხვევაში სულ 256,7 ათასი ლარი, მათ შორის, ძირითადი თანხა - 165,6 ათასი ლარი, ჯარიმა - 92 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი ძირითადი თანხის მოცულობა 211,5 ათას ლარს შეადგენს.

4. რეკომენდაცია

ინსტიტუტი, როგორც სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, არსებითად ეწევა მეწარმეობას, თუმცა, საქმიანობას არ გეგმავს და არ წარმართავს, როგორც ბიზნესს, აღნიშნული უარყოფით გავლენას ახდენს მისი საქმიანობის შედეგებზე, რომელიც ნათლად ჩანს ზემოთ წარმოდგენილ ანალიზში.

შესაბამისად, სახელმწიფო და საზოგადოება კარგავს იმ ფინანსურ, სამეურნეო და სხვა სახის სარგებელს, რომლის პოტენციალიც გააჩნია ინსტიტუტის სარგებლობაში არსებულ ძირითად საშუალებებს. ამასთან, მიუღებელი სარგებლის გარდა, დიდია სახელმწიფოს მიერ ინსტიტუტის სამეურნეო საქმიანობის განსახორციელებლად გაწეული ხარჯები.

გაურკვეველია ინსტიტუტის სამეცნიერო საქმიანობის შედეგები, სახელმწიფოსათვის მისი სარგებლიანობის თვალსაზრისით. აღნიშნული, ერთი მხრივ, განპირობებულია ინსტიტუტის მიერ სამეცნიერო საქმიანობის წარმართვის გაუმჭირვალე გარემოს შექმნით, და, მეორე მხრივ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ სახელმწიფო კონტროლის კანონით დადგენილი ფუნქციის განუხორციელებლობით.

ინსტიტუტის მფლობელობაში არსებული რესურსები აღემატება ინსტიტუტის სამეცნიერო მიმართულებებს და სამეცნიერო პოტენციალს. აღნიშნული შეუსაბამობა სახელმწიფო ქონების არამიზნობრივად გამოყენების დამატებით მიზეზს წარმოადგენს.

4 მეცნიერ-თანამშრომლის მიერ ჩატარებული სამეცნიერო ცდები წელიწადში საშუალოდ 10 ჰა მიწის ფართობზე ვერ ამართლებს ინსტიტუტისათვის 4000 ჰა მიწის ფართობის და სხვა ძირითადი საშუალებების ფლობას. აქვე მხედველობაშია მისაღები პირველადი მეთესლეობის, როგორც სამეცნიერო საქმიანობის მეორე მიმართულების შედეგების შეფასების შეუძლებლობა. ორივე ზემოაღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებით, ინსტიტუტის სამეცნიერო საქმიანობა უსარგებლო, არამიზნობრივი და არაეფექტიანია.

ამდენად, ინსტიტუტის არსებული ფორმით ფუნქციონირება და მის სარგებლობაში არსებული სახელმწიფო ქონების ფლობა უმართებულოა და არ ემსახურება სახელმწიფოებრივ, საზოგადოებრივ, საგანმანათლებლო თუ სამეცნიერო ინტერესებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია ინსტიტუტის ლიკვიდაცია. მის მფლობელობაში არსებული ყველა რესურსი უნდა ჩაერთოს რეალურ ეკონომიკურ ბრუნვაში, სადაც უზრუნველყოფილია გამჭვირვალე და ჯანსაღი მენეჯმენტი, რესურსების რენტაბელური გამოყენება და სახელმწიფოს ბიუჯეტთან კანონმდებლობით დადგენილი წესით ანგარიშსწორება.

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ინსტიტუტის ლიკვიდაციის საკითხის დაყენების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, როგორც სახელმწიფო მმართველობის ორგანოს.

5. აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პასუხისმგებლობა და უფლებამოსილებანი

„საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, აუდიტის ობიექტი უფლებამოსილია აუდიტის აქტი მისი ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში გაასაჩივროს მხოლოდ საქართველოს კონტროლის პალატის დავების განმხილველ საბჭოში, ქ.თბილისი ქეთევან წამებულის გამზირი №96.